პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—42

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 125 მ. 1922 წ. ნიშნებით.
განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათ. მ.

დღიური

— განიარაღების კონფერენცია ნორმალურად მიმდინარეობს.

— „პოალეი ციონის" პარტიამ დაადგინა შეუერთდეს რუსეთის კომპარტიას.

— ინგლისის მთავრობა საჭიროთ სცნობს ლოზანის კონფერენციის იანვრისთვის გადადებას.

— არეულობამ დასავლეთ ფრაკიაში მწვავე ხასიათი მიიღო.

— 4 დეკემბერს გაიხსნა გერმანიის რეიხსტაგი.

№ 280 ოთხშაბათი, 6 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 280

ჩვენი უმაღლესი სკოლის საკითხი

ეს ერთი მტკივნეული ადგილია ჩვენი სინამდვილის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან, რესპუბლიკის ცხოვრების ბევრმა მხარემ, მრავალმა დაწესებულება-ორგანიზაციამ განიცადა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ცვლილება, მშრომელთა ძალა-უფლების ორგანიზაციულ სტრუქტურასა, ამოცანებსა და მიზნებთან შეფარდებით.

მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ არის აქა იქ კუნჭულები, რომელსაც არ შეხებია ახალი რეჟიმის გარდამქმნელი ხელი. მათ შორის ერთი უმთავრესი და უპირველესი ადგილი უჭირავს უმაღლეს სკოლას, რომლის რეორგანიზაციის საკითხი დასმულია დღის წესრიგში.

დღევანდელი ჩვენი უმაღლესი სკოლა ოდნავადაც არ არი დამაკმაყოფილებელი, როგორც თავისი შემადგენლობით, ისე ორგანიზაციული წყობით. როგორც ვიცით, ჩვენ გვაქვს ორი ასეთი სკოლა—სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, რომლებშიაც ითვლება ათი ათასამდე სტუდენტობა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მიხედვით, ეს დიდ რაოდენობას შეიცავს. საქმის ნამდვილი მდგომარეობის უცოდინარმა კაცმა შეიძლება ეს მოვლენა დადებითად შეაფასოს და უმაღლეს ცოდნისადმი ახალგაზრდობის მასსიურ მისწრაფების დამამტკიცებელ ფაქტად აღიაროს.

არაფერი ამის მსგავსი.

სტუდენტთა აღნიშნულ რიცხვის დიდი უმრავლესობა მხოლოდ ნომინალურად ითვლება უმაღლეს სკოლებში, ფაქტიურად კი იშვიათად თუ ესტუმრება მათ, და გართულია ისეთ საქმეში, რომელსაც შორეული დამოკიდებულებაც კი არა აქვს სკოლასთან, მეცნიერებასთან. ეგრედ წოდებულ სტუდენტობის საგრძნობი ნაწილი სპეკულაციის ჭაობში და სხვა ასეთ სათაკილო საქმეებშია ჩაფლული, და თავისი შეუფერებელი მოქმედებით სახელს უტეხს უმაღლეს სკოლას.

არის მეორე კატეგორიაც სტუდენტებისა, რომელთაც ცოდნის შეძენა კი არ აინტერესებთ, არამედ განსაზღვრული პოლიტიკა. სტუდენტობის კონტრ-რევოლიუციონური და შოვინისტური ნაწილი უნივერსიტეტის კედლებში აკეთებს იმას, რასაც მის გარედ, ხალხში—ანტისაბჭოთა პარტიები და ყველა ჯურის რეაქციონერები. უმაღლესი სკოლა მათ გადააქციეს მშრომელთა დიქტატურის წინააღმდეგ კერად. ეს ვაჟბატონები თუ დაიარებიან უნივერსიტეტში ან პოლიტეხნიკუმში, არა ლექციების მოსასმენად და სამეცადინოთ, არამედ პოლიტიკურ სკანდალების მოსახდენად, უმაღლეს სკოლის ნორმალურ მსვლელობაში შეფოთის და არევ-დარევის შესატანად. ამის დამამტკიცებელი ფაქტები ბევრია. ჩვენ ამ ჟამად არ შევუდგებით მათ ჩამოთვლას.

ამ ჟამად მიმდინარეობს უმაღლეს სკოლის შემადგენლობის გაწმენდა ზედმეტ და მავნე ელემენტებისაგან. იქ უნდა იქნან დატოვებულნი მხოლოდ ისინი, ვინც მართლა მოწყურებულია სწავლას, ცოდნას და გაძევებულნი—ყველა დანარჩენი ელემენტები.

ამით უმაღლეს სკოლის მდგომარეობა გაჯანსაღდება და აკადემიური მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

ამ მიზნითვე საჭიროა უმაღლეს სკოლის რეორგანიზაცია. აქ ჩვენ ვაყენებთ საკითხს უმაღლეს სკოლის დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა სახელმწიფოსა და ხელისუფლებისადმი. ძველი რეჟიმის დროს უმაღლესი სკოლა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მოეპოებინა სახელმწიფოსაგან, რაც შეიძლება უფრო ფართეთ გამიჯნულ იყო მისგან. უმაღლეს სკოლის ისტორიას ახსოვს ბრძოლა ე. წ. ავტონომიისათვის. და ეს ავტონომია, ეს ბრძოლა მის მოსაპოებლად თუ შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მაშინ, როცა თვითმპყრობელობა ესხმოდა მას და ცდილობდა გამოეყენებია სკოლა თავის და გაბატონებულ კლასების ინტერესებისათვის.

ეხლა კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. სახელმწიფოს სათავეში უდგას თვით მუშათა კლასი. უმაღლესი სკოლაც, როგორც ყველა სხვა ორგანიზაცია, მოწოდებულია თავის სფეროში ემსახუროს ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. საბჭოთა ხელისუფლება მას განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებით ხელს უწყობს უმაღლეს სკოლას ამ მიზნის განხორციელებაში. ეს კი გულისხმობს მჭიდრო კონტაქტის დამყარებას ხელისუფლებისა და უმაღლეს სკოლის მმართველობას შორის. დღეს არავითარი დადებითი აზრი არა აქვს უმაღლეს სკოლის დატოვებას ძველ ორგანიზაციულ და უფლებრივ მდგომარეობაში, როცა ის ერთგვარ სახელმწიფოს წარმოადგენდა სახელმწიფოში. უმაღლესი სკოლა საბჭოთა დაწესებულება; საბჭოთა ხელისუფლების იდეური და ორგანიზაციული გავლენა მაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ამას მოითხოვს როგორც მშრომელთა დიქტატურის, ისე აკადემიური მუშაობის გონივრულად გაგებული ინტერესები.

უმაღლეს სკოლის შემადგენლობის გაწმენდა-გაჯანსაღება და ამ სკოლის ფაქტიურად გადაქცევა საბჭოთა დაწესებულებად—ეს მორიგი საქმეა, რომლის განხორციელება გადადებას არ ითმენს.

გადასახლების საკითხი*)

გაზეთ კომუნისტის №№ 264, 266 და 274 ში დაიბეჭდა ამხ. დ. ნასარიძის წერილები გადასახლების საკითხის შესახებ. ავტორს შემთხვევა ჰქონია ადგილობრივ დაეთვალიერებია მიწის სივიწროვით მუდამ პურნაკლული, ხოლო უკანასკნელ წყალდიდობით სრულიად გავერანებული რაჭა და ცოცხალი შთაბეჭდილებების ზეგავლენით არკვევს იმ სფეროს, სადაც უნდა გადატანილ იქნას „ქრონიკულ შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმის ცენტრი". შეიძლება ეს სფერო „გაცილებით უფრო მტკივნეული, ხანგრძლივი და მძიმე შორს სავალი გზა იყოს, მაგრამ სამაგიეროთ ის უტყუარია და ჩვენი ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ იქნება უფრო ნაყოფიერი და დადებითი ამ გზით". ასეთ გზათ ავტორს მიაჩნია რაჭისა და სხვა მჭიდროთ დასახლებულ რაიონების განტვირთვა გადასახლების საქმის ფართოთ დაყენებით. აი მის მიერ საჭიროთ მიჩნეული პრაქტიკული წინასწარი ზომები: 1) იმ გადასახლების ქვე-განყოფილებაში, რომელიც არსებობს სამიწათმოქმედო კომისარიატში, უნდა მოხდეს რადიკალური ცვლილება, შესდგეს ახალი გადასახლების კომიტეტი; 2) დაუყოვნებლივ იქნეს გამორკვეული რაოდენობა იმ თავისუფალ მიწებისა, რომლებიც სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, ახალქალაქის, ახალციხის, გორის, თიანეთის და სხვა მაზრებში მოიპოება დღეს; 3) დამშეულ მაზრებში აღმასკომებთან შესდგეს გადასახლების კომიტეტები, რომელთაც ექნებათ პირდაპირი კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან; 4) ადგილობრივათ გადასახლების კომიტეტებმა უნდა აწარმოვონ სისტემატიური აგიტაცია-პროპაგანდა გადასახლების სასარგებლოთ, სამაზრო პარტკომებისა და აღმასკომების ენერგიული დახმარებით; 5) ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა მოაწოდონ ცენტრალურ კომიტეტს გადასასახლებელთა სწორათ შედგენილი სიები, რათა ცენტრმა ამით იხელმძღვანელოს, თუ რამდენი საით გადაასახლოს; 6) მთავრობამ უნდა გაიღოს საკმაოთ დიდი თანხა, რომ გადასახლების ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნას ფონდი გადასახლების პრაქტიკულათ ჩასატარებლათ. შემდეგ, სიმშილობის შედეგების წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი უნდა წარმოადგენდეს ასეთი ფონდის შექმნისათვის უმთავრეს წყაროს; 7) გადასახლების კომიტეტმა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით უნდა შექმნას საექიმო და საფერშლო დამხმარე პუნქტები, როგორც გზაზე გადასავალ დროს აგრეთვე იქ სადაც ესახლებიან გლეხები; 8) გადასახლებულებს უნდა მიეცეს უფასოთ მასალები საცხოვრებელი ბინების ასაგებათ, და ამისათვის საჭირო იარაღები; 9) უნდა მიეცეს სათესლე იმ პირობით, რომ ახალი მოსავლის შემდეგ დაუბრუნდეს მთავრობას უპროცენტოთ, თუ კარგი მოსავალი იქნება, თუ ცუდი იმ შემთხვევაში სულ ეპატიოს გლეხებს სათესლე ხორბალი; 10) რკინის გზაზე გინდ სხვა ტრანსპორტით მასსიური გადაყვანა ხდებოდეს უფასოთ, უპირატესობა უნდა მიეცეს გადასახლებულთა ამხანაგობებს და შეღავათიანი პირობები შეიქმნას მათთვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წინასწარი ზომები ჩვენ მიგვაჩნია უეჭველათ მიზანშეწონილათ.

დ. ნასარიძის მიერ ნაჩვენები წინასწარი ზომები არაა ახალი, ძველია. ყველა ეს ზომები, თითქმის უცვლელათ მიღებულ იყო მენშევიკურ მთავრობის დროს, იმ განსხვავებით, რომ, ნაცვლათ განზრახულ გადასახლების კომიტეტისა მაშინ არსებობდა სამიწ.-მოქმ. სამინისტროს გადასახლების განყოფილება, ხოლო სამაზრო აღმასკომებისა და პარტკომების მაგიერობას ეწეოდნენ სამაზრო ერობები. საახალშენო მიწის ფონდის გამოკვლევაც საკმაოთ სწრაფათ წარმოებდა, მაგრამ გადასახლება კი ძლიერ ნელის ნაბიჯით მიმდინარეობდა.

ამის უმთავრეს მიზეზათ, ჩემის აზრით, უნდა ჩაითვალოს მენშევიკურ სახელმწიფოებრივ ხელისუფლების სისუსტე და ადგილობრივ ადმინისტრატიული ორგანოების მოქმედება. აი ამის დამამტკიცებელი ერთი მაგალითიც: ამ სტრიქონების დამწერს ჩაბარებული ჰქონდა თფილისის მაზრის სამხრ. ნაწილის და ბორჩალოს მაზრის საახალშენო რაიონები. სანამ საახალშენო ფონდს მხოლოდ ვიკვლევ-ვიძიებდით, მანამ მუშაობას არავინ მიშლიდა, ხოლო როგორც კი სადმე ახალშენის მოსაწყობათ რეალურ ნაბიჯს გადავდგამდით—წინ გადამეღობებოდნენ პროვინციულ პატრიოტიზმით გამსჭვალული, ადგილობრივი ხელისუფლების აგენტები.

თუ ცენტრალიზაცია სადმე გასამართლებელია—ეს პირველ ყოვლისა გადასახლების საქმეში, რომელიც ვერ ეგუება ადგილობრივ პატრიოტიზმს და მოითხოვს მტკიცე დისციპლინას.

სრულიად ვეთანხმები ამხ. დ. ნასარიძეს, რომ გადასახლების კომიტეტის ფუნქციები შესაძლებელია აიღოს სიმშილობის შედეგების წინააღმდეგ მებრძოლმა კომიტეტმა.

ამას, ჩემის აზრით, ის უპირატესობაც ექნება, რომ ხალხის თვალში სიმშილობის კომიტეტს ბევრათ მეტი სიმკაცრე ეპატიება, ვიდრე სხვა რომელსამე ორგანიზაციას. სიმკაცრე კი აუცილებელია ჩვენი დამშეულ მაზრების ზედ მეტ მიწის მუშაკთაგან განსატვირთავათ.

მაგრამ რაც უნდა უნაკლულო იქნეს მომავალ გადასახლების კომიტეტის ორგანიზაცია და რაც უნდა იდეური და საქმის მცოდნე თანამშრომლებით იქნეს ის უზრუნველყოფილი, ბევრს ვერაფერს გააკეთებს ის, თუ მისი მოქმედება მალე და ფართოთ არ დაიწყო. საქმე იმაშია, რომ ახლო მომავალში დაიწყება აგრარულ რეფორმის დაკვრითი წესით გატარება. თბლათ დასახლებულ რაიონებისათვის დადგენილია შედარებით დიდი ნორმები და თუ მიწების კატეგორიებათ დანაწილება მომჭირნეობით არ ჩატარდა, არამც თუ სიღნაღ-თელავის არამედ თვით ბორჩალოს მაზრაშიდაც ბევრი აღარაფერი გადაგვრჩება გადასახლების ფონდში გადასარიცხავათ.

ამისათვის საჭიროა გადასახლების კომიტეტის აგენტებმა აქედანვე იმეცადინონ, რომ არ იქნეს გაფლანგული რესპუბლიკის დამშეულ კუთხეთა განსატვირთავათ საჭირო მიწის ფონდი.

A priori შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა ის მიწები, რომლებიც მენშევიკების დროს სახელმწიფო ფონდში იყვნენ ჩარიცხული საქართველოს განაპირა მაზრებში (ბორჩალო ახალციხე-ახალქალაქი, ყარაიაზ-ლაგოდეხი და სოხუმის ოლქი) მთლიანათ გადასახლების საქმისათვის გადაგვრჩება. ადგილობრივ უმიწწყლოთა დასაკმაყოფილებლათ სრულიად საკმარისი იქნება ის ზედმეტი ნაჭრები, რომელსაც მივიღებთ მენშევიკურ და ბოლშევიკურ ნორმების განსხვავების გამო.

ჩემის აზრით გადასახლების კომიტეტმა პირველივე თავის განკარგულებით მთელი ყოფილი სახელმწიფო მიწის ფონდი ჩამოთვლილ მაზრებისა უნდა გადარიცხოს გადასახლების ფონდში და მიწის კომიტეტებს წინადადება უნდა მიეცეთ უმიწწყლოები დააკმაყოფილონ ახლათ ჩამოსართმევ მიწებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი ფონდი საკმარისი არ იქნება, ადგილობრივ უმიწწყლოთა დასაკმაყოფილებლათ მიწის კომიტეტი აცნობებს გადასახლების კომიტეტს, რომელიც ამოწმებს ამ გარემოებას თავისი აგენტის საშუალებით და თუ დარწმუნდება სინამდვილეში, გადასცემს მიწის კომიტეტს გადასახლების ფონდის მიწების საჭირო ნაწილს.

გადასახლების საქმის ენერგიულათ ჩატარება უზრუნველყოფილი იქნება ყოველი რიგიანი მოქალაქის, სრული თანაგრძნობით და თანამშრომლობით. მუშათა კლასიურ ნიადაგზე მდგარ მოღვაწისათვის უეჭველათ სასურველი უნდა იყოს თუ ჩვენ მიწის მუშას, რომელსაც თავის სოფელში არ გააჩნია დასამუშავებელი მიწა, გადავიყვანთ ისეთ ადგილში, სადაც შევძლებთ მისთვის მიწის მიცემას.

რასაკვირველია, არიან ისეთი კაცუნებიც, რომელთაც სურთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ვერც ერთი რიგიანი რეფორმა ვერ ჩაატაროს, მაგრამ ისეთები მოტყუვდებიან.

ასეა თუ ისე, რომელების არ იყოს, კართაგენი უნდა დაინგრეს, ე. ი. გადასახლების საქმე საქართველოში უეჭველათ უნდა ჩატარდეს.

გ. ა.

---

*) სადისკუსიო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოლარი რუსეთის რევოლიუციის შესახებ.

მოსკოვის „იზვესტიის" რედაქციამ მიმართა საფრანგეთის სახელგანთქმულ ისტორიკოსს ოლარს თხოვნით გამოეთქვა თავისი აზრი რუსეთის რევოლიუციის ხუთი წლის თავის შესახებ. ოლარმა, რომლის წერილები რუსეთის შესახებ აშკარა პოლემიკური ხასიათის იყო, რედაქციას შემდეგი საყურადღებო პასუხი მისცა: „მე მთხოვენ გამოვსთქვა ჩემი აზრი საბჭოთა რევოლიუციისა და მისი ხუთი წლის თავის შესახებ. აქედან მე გამომყავს დასკვნა, რომ მე მთვლიან მიუდგომელ ისტორიკოსად, რაც ჩემთვის მეტად სასიამოვნოა. მაგრამ იმისთვის, რომ რევოლიუციის შესახებ ვიმსჯელოთ ისტორიკოსის თვალსაზრისით, საჭიროა მისი ზედმიწევნით ცოდნა. მე კი ცუდათ ვიცნობ რუსეთის რევოლიუციას, რადგან არ მომეპოვება საკმაო საბუთები და დამამტკიცებელი ცნობები. მაგრამ არის ყოველ შემთხვევაში ორი ფაქტი, რომელნიც ჩემში განცვიფრებას იწვევენ (გარდა ბრესტის ზავისა, რომელმაც ჩვენ, ფრანგებს, ამდენი უბედურება მოგვიტანა). ეს არის უპირველეს და უწინარეს ყოვლისა ის, რომ რუსეთის რევოლიუცია, ისე როგორც საფრანგეთის, შეიქნა ტერორისტული და სისხლიანი უცხოელთა შემოსევისა და ემიგრანტების მოღვაწეობის გამო. ამის შემდეგ კი არის ის უდავო ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობა არსებობს უკვე ხუთ წელს და რომ არა სჩანს არავითარი სხვა მთავრობა, რომელსაც შეეძლოს მისი შეცვლა, ეს ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება რუსეთის ხალხის აზრს და მის ისტორიას".

„იუმანიტე" ათავსებს რა ოლარის განცხადებას, ხაზგასმით აცხადებს, რომ ყველაზე უფრო ძვირფასი მასში არის იმის აღიარება, რომ ეს ისტორიკოსი, რომელმაც ამდენი საპოლემიკო მასალა მისცა საბჭოთა რუსეთის მტრებს, არც კი იცნობდა საკმაოდ რუსეთის რევოლიუციას.

ცნობილი მწერალი ვიქტორ მარგერიტი თავისი უკანასკნელი რომანის გმირს რუსეთის რევოლიუციის შესახებ ათქმევინებს შემდეგს: „არაფერი დიადი არ ხდება ბრძოლისა და ტანჯვის გარეშე. რაც არ უნდა მოხდეს, მიწის და მრეწველობის ნაციონალიზაცია მეფეების ყოფილ იმპერიაში უდიდეს მიხწევად უნდა ჩაითვალოს და მთელი კაცობრიობა ისარგებლებს მისი ნაყოფით რუსეთის ხალხთან ერთად, ხალხთან, რომელიც არის ბავშვი და გიგანტი, რომელსაც ჩვენ ვხედავდით, როდესაც ის იზრდებოდა და თავს აწევდა საშინელ კონვულსიებს".

რადიო-ტელეგრამები

კონფერენცია განიარაღების შესახებ

მოსკოვი. 4 დეკ. განიარაღების კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობენ რუსეთი, ლატვია, ესტონია, პოლონეთი, ლიტვა და ფინეთი. პოლონეთის დელეგაციას თავმჯდომარეობს თავ. რადზივილი, ლატვიის—ვალენმანი, ლიტვის—ზამნუსი, ესტონეთის—სალიანა, ფინეთის—ენკელი.

ლიტვინოვი, კონფერენციის გახსნის შემდეგ, სიტყვას აძლევს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წევრს სმიდოვიჩს. „მე მოხარული ვარ, ამბობს სმიდოვიჩი, მივესალმო კონფერენციას სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომისა და საბჭოთა ხელისუფლების სახელით, რომელიც თავის პოლიტიკას საფუძვლად უდებს ერთა თვითგამორკვევას და რომელიც მუდამ ქადაგებდა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობის დამყარებას".

პოლონეთის დელეგაციას წინადადებით შემოაქვს აირჩიონ კონფერენციის თავმჯდომარედ ლიტვინოვი. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

ლიტვინოვი აცხადებს საბჭოთა მთავრობის დეკლარაციას. დეკლარაციაში ნათქვამია: რუსეთს სურს შეიარაღების ნამდვილი და რადიკალური შემცირება. რუსეთს კარგად ესმის, რომ ყველა სხვა სახელმწიფოებში კაპიტალისტური წესწყობილების არსებობის დროს შეუძლებელია შეიარაღებულ კონფლიქტების სავსებით თავიდან აშორება.

რუსეთის ლონისძიებანი ამ მიმართულებით გენუაში დამთავრდა დამარცხებით მიუხედავად ამისა, რუსეთი წინადადებას იძლევა მოხდეს ყველა მხარეთათვის სავალდებულო შეიარაღების მაქსიმალური შემცირება და მზად არის შეამციროს თავისი არმია 1 ნახ.—2 წლის განმავლობაში ეხლანდელი შემადგენლობის მეოთხედამდე—200,000-მდე, იმ პირობით, თუ შემცირება სავალდებულო იქნება ყველა მხარეთათვის.

რუსეთი მოითხოვს სამხედრო ბიუჯეტების რადიკალურ შემცირებას, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებში ირრეგულიარულ სამხედრო ფორმაციების ლიკვიდაციას და თავის მხრივაც მზად არის გაატაროს ეს ლიკვიდაცია რუსეთში.

დაბოლოს რუსეთი მოითხოვს საზღვრების განაპირა ზონების ნეიტრალიზაციას. რუსეთის სამხედრო ფლოტი 1917 წელთან შედარებით უკვე შემცირებულია სამი მეოთხედით, მაგრამ რუსეთი სიხარულით შეხვდება ყოველგვარ ინიციატივას, რომელიც გვიახლოვებს აგრეთვე საზღვაო ძალების სრულ განიარაღების მომენტს.

დეკლარაციის დასასრულში გამოთქმულია იმედი, რომ კონფერენცია გაიკვლევს გზას შეიარაღების საყოველთაო შემცირებისაკენ.

ესტონიის, ლიტვის, ფინეთის, ლატვიის და პოლონეთის დელეგაციების თავმჯდომარეები აკეთებენ მოკლე განცხადებებს, რომელშიაც მადლობას გამოსთქვამენ მისალმებისათვის და აცხადებენ, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ კონფერენციის ნაყოფიერად ჩატარებას.

მიღებულია შემდეგი რეგლამენტი: გამოიყოფა კონფერენციის ბიურო ყველა დელეგაციების თავმჯდომარეების შემადგენლობით, სამდივნო გენერალური მდივნის ფლორინსკისა და ყველა დანარჩენ დელეგაციების მდივნების შემადგენლობით.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. განიარაღების კონფერენციის ბიურო იტყობინება: ლატვიის პოლონეთის, ფინეთის და ესტონეთის დელეგაციების თავმჯდომარეებმა წინადადება მისცეს განიხილონ ზოგიერთი პოლიტიკური საკითხები შეთანხმების ხელის მოწერის მიზნით, რაც გარანტიას იძლევა კონფერენციების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის, ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება შეიარაღებულ ძალების შემცირების საკითხის განხილვა. აღნიშნულ დელეგაციების აზრით უნდა იქნეს განხილული საკითხი საზღვაო და საგარეო შეიარაღებულ ძალების შემცირების შესახებ, ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება საარბიტრაჟო სასამართლოს დაწესების შესახებ. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ, რუსეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციის მიხედვით, წინადადება შეიტანა რათა დაუყოვნებლივ იქნას შედგენილი კომისია იმ ტეხნიკურ საკითხების განსახილველად, რომელიც დაკავშირებულია განიარაღებასთან, ვინაიდან რეალური შედეგები მიღწეული იქნება არა მარტო რეზოლიუციების და შეთანხმებათა ხელის მოწერით, არამედ შეიარაღებულ ძალების ფაქტიურად შემცირებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნეს სამხედრო ხარჯების შემცირება და სამხედრო კონფერენციების თავიდან აშორება. რუსეთის დელეგაციას შეუძლებლად მიაჩნია პოლიტიკურ წინადადებათა განხილვა, მაგრამ იგი არ იქნება წინააღმდეგი იმისა, რომ განხილულ იქნეს საკითხი არბიტრაჟის შესახებ, ვინაიდან სადავო საკითხებში არ იქნა მიღწეული შეთანხმება, კონფერენციის ბიუროს ახალი სხდომა გაიმართება 5 დეკემბერს.

ლოზანის კონფერენცია

რუსეთი და ლოზანას კონფერენცია.

მოსკოვი. 5 დეკემბ. „ნიუ იორკ ჰერალდ"-ის ცნობით სტამბოლის პოლიტიკურ წრეებში შიშობენ, რომ რუსეთის წარმომადგენლები იმ შემთხვევაში თუ ისინი არ დაუშვეს კონფერენციის ყველა საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად. დატოვებენ ლოზანას. გადმოგვცემენ, რომ ამ შემთხვევაში ოსმალებიც წაბაძავენ რუსეთს.

რუსეთის დელეგაციის განცხადება.

ჰანოვერი. 5 დეკემბ. რუსეთის დელეგაციამ განაახლა თავისი მოთხოვნილება კონფერენციის მუშაობაში საბჭოთა რესპუბლიკის მთელი შემადგენლობით მონაწილეობის შესახებ. მაგრამ დელეგაცია დათანხმდა აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ სრუტეების შესახებ მოლაპარაკებაში და განაცხადა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში, საბჭოთა რესპუბლიკები თავისუფალი იქნებიან მათ გარეშე მიღებულ ყოველგვარ ვალდებულებათაგან.

ჩვენი და მათი „ერთიანი ფრონტი".

ჰანოვერი. 5 დეკემბ. მიმდინარე კვირაში დაიწყო სრუტეების საკითხის განხილვა. უკვე თანდათან ირკვევა რუსეთის და ოსმალეთის მჭიდრო კავშირი, რომელიც გაცილებით უფრო მტკიცეა, ვინემ მოკავშირეთა პოზიცია.

ინგლისის მუქარა.

ჰანოვერი. 5 დეკემბ. ინგლისი აფრთხილებს ჩიჩერინს, რომ კონფერენციის ჩაშლა ნიშნავს ომის აუცილებლობას, რომელიც უფრო საშიანო იქნება რუსეთის ინტერესებისათვის, ვინემ მოკავშირეთათვის. ეს გაფრთხილება მეტად თავაზიანი, მაგრამ გადაჭრილი ფორმით უარყოფილ იქნა ჩიჩერინის მიერ.

სრუტეების კომისიაში.

ბორდო. 5 დეკემბ. ჰავასის სააგენტოს და „ტან"-ის ცნობით თანახმად, ორშაბათს დილით გაიმართა სრუტეების კომისიის სხდომა, სადაც ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთი სთვლის აუცილებლად სრუტეებში კომერციულ გემების გავლის თავისუფლებას და სამხედრო გემების გავლის აკრძალვას, და აგრეთვე ოსმალეთისათვის სრუტეების გამაგრების უფლების მინიჭებას, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

— ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის გამოსთქვამს თავის აზრს მის შემდეგ, როცა თავიანთ აზრს გამოსთქვამენ ყველა დელეგატები.

— ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ გაურკვევლობის გამო, კონფერენციაზე მიწვეულმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ არსებული მდგომარეობა.

სხდომის შეწყვეტა.

ბორდო. 5 დეკემბ. სრუტეების კომისიის შემდეგი სხდომა შესდგება სამი დღის შემდეგ.

მოკავშირეების თათბირი.

პარიზი. 5 დეკემბ. გუშინ ლორდ კერზონს, ბარერს და გარრონის თათბირი ჰქონდათ იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც ისინი დაიჭერენ სრუტეების საკითხში.

მდგომარეობა გართულებულია.

ჰანოვერი. 5 დეკემბ. ლოზანადან იტყობინებიან, რომ იქ მდგომარეობა მეტად გართულებულია რაც გამოიწვია კერზონსა და ისმეტ ფაშას შორის მომხდარმა მოლაპარაკებამ. იტყობინებიან აგრეთვე ვენიზელოსსა და კერზონს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. კერზონი მოითხოვს კონფერენციის საშობაოთ დამთავრებას, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ განხილულ იქნება მხოლოდ ოსმალეთის და საბერძნეთის ტერიტორიალური საკითხები, ყველა დანარჩენი საკითხები, კერზონის აზრით, უნდა გადადებულ იქნეს იანვრამდე. საფრანგეთის დელეგატებმა გამოსთქვეს სურვილი, რათა განხილულ იქნეს ოსმალეთთან დადებული ყველა ხელშეკრულებები.

კაპიტულიაციის საკითხის შესახებ.

რომი. 5 დეკ. გაიმართა კომისიის სხდომა ოსმალეთის კაპიტულიაციის საკითხის განსახილველად. კომისიის თავმჯდომარემ გარრონმა, განაცხადა, რომ კაპიტულიაციის სისტემა დაწესებულია უცხოეთის ეკონომიური ძალების მიზიდვის და უკანასკნელთათვის საჭირო გარანტიების შექმნის მიზნით, ამიტომ ოსმალეთი დაინტერესებული უნდა იყოს იმაში, რომ იმ უცხოელებს, რომელთა კაპიტალებს საჭიროებს იგი, მიეცეს აუცილებელი გარანტიები. ოსმალეთის დელეგაცია ამტკიცებდა კაპიტულიაციის უხერხულობას და აცხადებდა, რომ ოსმალეთს აქვს უფლება თვითონ მოაწესრიგოს თავისი დამოკიდებულება უცხოელებთან ამერიკის წარმომადგენელი შეუერთდა მოკავშირეთა თვალსაზრისს.

გარრონის წინადადებით, ოსმალეთის დელეგაცია დათანხმდა იმაზე, რომ ოსმალეთის დელეგაციის განცხადება გადაეცეს შესასწავლათ სპეციალურ ქვე-კომისიას, რომელიც შეიკრიბება საფინანსო ქვე კომისიასთან ერთად; უკანასკნელი იხილავს ოსმალეთის „დეტ პუბლიკის" საკითხს.

რუმინიის მოთხოვნები ლოზანის კონფერენციაზე.

კრონდონი. 4 დეკემბ. რუმინია აცხადებს, რომ ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება დემილიტარიზაციის შესახებ არ ტარდება ცხოვრებაში. ის მოითხოვს რუსეთის და ოსმალეთის შავი ზღვის ნაწილების სრულს დემილიტარიზაციას, და ამ ზღვაში მხოლოდ ბულგარეთის, რუმინიის, ინგლისის და საფრანგეთის ფლოტის დაშვებას. ამერიკის პოზიცია ამ საკითხში ჯერ არ არის სავსებით გამორკვეული ფიქრობენ, რომ ამერიკა მოითხოვს სრულს თავისუფლებას სავაჭრო გემებისათვის, და შესაძლებელია, სამხედრო გემებისათვისაც. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ამერიკა უფრო მხარს დაუჭერს საერთაშორისო კონტროლს, ვინემ ოსმალეთის კონტროლს.

მჭიდრო თანამშრომლობა უზრუნველყოფილია.

ნაუენი. 3 დეკემბერი ინგლისის პრესა იტყობინება, რომ **რუსეთის და ოსმალეთის მჭიდრო თანამშრომლობა ლოზანის კონფერენციაზე უზრუნველყოფილია.**

კონფერენციის შეწყვეტა იანვრამდე.

ნაუენი. 5 დეკემბ. კონფერენცია ჯერჯერობით შორს არის შეთანხმების მიღწევისაგან და დელეგაციები სერიოზულ მერყეობას განიცდიან. ბრიტანიის მთავრობა ამჯობინებს კონფერენციის იანვრამდე გადადებას.

ჩიჩერინის განცხადება.

ნაუენი, 5 დეკ. ჩიჩერინმა „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობის აგრესიული პოზიცია წარმოადგენს მუქარას მსოფლიოსათვის და ლოზანას კონფერენციის ნაყოფიერობისათვის. თუ წარმოვიდგენთ რომ სრუტეები ყველასათვის ღია იქნება, მაშინ ინგლისი იქ შექმნიდა პირველ ხარისხოვან სტრატეგიულ პოზიციას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ჩიჩერინმა დაადასტურა, რომ რუსეთმა უარყო ერთა ლიგის შუამდგომლობა იმ მოსაზრებით, რომ ლიგა მოკავშირეთა აბსოლუტურ გავლენის ქვეშ იმყოფება.

მოსკოვი, 5 დეკ. ლოზანადან მიღებულ ცნობების თანახმად, დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბერს კონფერენციაზე იხილავდენ კითხს კაპიტულიაციის შესახებ. ოკავშირეებმა შეიტანეს წინადადება კაპიტულიაციის 4 წლით გაგრძელების შესახებ, რის შემდეგ იგი გაუქმებული იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ ოსმალეთის (დამახინჯებულია)... რსია ნდობისა. ოსმალეთის დელეგატებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს ასეთ წინადადების წინააღმდეგ.

— ლოზანიდან მიღებულ ცნობების თანახმად, კონფერენციას ჩაშლა ელის. ისმეტ ფაშა უკმაყოფილოა მოკავშირეების რეზოლიუციით. ოსმალეთის სამოქალაქო მცხოვრებთა ევაკუაციის შესახებ, რაც ოსმალებს ისეთსავე პირობებში ჩააყენებს, როგორც ბულგარელებს, სერბიელებს და ბერძნებს. მოლაპარაკების დროს ოსმალებმა მიუთითეს დასავლეთ ფრაკიაში მდგომარეობის გართულებაზე, სადაც მათი სიტყვით, 20,000 შეიარაღებული ოსმალო მზადაა გამოსვლისათვის.

ისმეტ ფაშის განცხადება.

პარიზი. 5 დეკ. ისმეტ ფაშამ სრუტეების კომისიაში განაცხადა, რომ მხოლოდ ოსმალეთს შეუძლია იყოს სრუტეების სუვერენული მფლობელი და რომ ოსმალეთის დელეგაცია უცდის მოკავშირეების წინადადებას, თავის მოსაზრებების ჩამოყალიბებამდე.

კრიტიკული მომენტი.

პარიზი. 5 დეკ. მოკავშირეების წრეებში ფიქრობენ, რომ კონფერენციამ მიაღწია კრიტიკულ მომენტს, საიდანაც გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ურთიერთ შორის კეთილ-განწყობილების და მოკავშირეების შორის მჭიდრო ერთობის გზით.

უშედეგოდ.

ლონდონი. 5 დეკემბერი. სრუტეების კომისიის სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ლორდ კერზონი ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია. მოსმენილ იქნა ჩიჩერინის განცხადება, რომელიც მოითხოვდა სრუტეების სავსებით დახურავს სამხედრო გემებისათვის, გარდა ოსმალეთის გემებისა, რაც აუცილებელია სტამბოლის დასაცავად. ისმეტ ფაშას ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი არ გამოუთქვამს და დუკას (რუმინეთი) და სტამბულინსკის (ბოლგარეთი) განცხადებების შემდეგ სხდომა გადაიდო.

კაპიტალისტების მთლიანი ფრონტი.

ლონდონი. 5 დეკ. ინგლისის გაზეთების კორესპონდენტები გადმოგვცემენ, რომ მიუხედავად უკანასკნელი მოლაპარაკების უშედეგობისა, მოლაპარაკენი ყველა საკითხების შესახებ სწარმოებდა მოკავშირეების შორის სრული თანხმობით, რომლებიც მუდამ ცდილობენ მხარი დაუჭირონ მჭიდრო თანამშრომლობას ურთიერთშორის. კაპიტულიაციის შესახებ არა მარტო მოკავშირეები, არამედ ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები შეთანხმდენ მოკავშირეების შეხედულებებში, ამ საკითხში ოსმალეთთან ხელშეკრულების არსებობის გამო.

რუმინია.

რუმინია და რუსეთი.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. რუმინიის ოპოზიციონური გაზეთი „პარტია“ მოითხოვს რუმინიის მთავრობისაგან რუსეთთან შეთანხმებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ რუმინიისათვის რუსეთის პოზიცია ბესარაბიის და სრუტეების საკითხში წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს.

საბერძნეთი

განაჩენი საბერძნეთის პრინც ანდრიაზე.

ბორდო. 4 დეკემბერი. ათინაში სამხედრო სასამართლოს სხდომაზე პოლკოვნიკ ვლასო პულესის თავმჯდომარეობით ერთხმად დადგენილ იქნა, რომ პრინცი ანდრია დამნაშავეა დაუმორჩილებლობაში და თავისი პოსტის მიტოვებაში მაშინ, როდესაც მტერი კარზედ იყო მომდგარი, მაგრამ დანაშაულობის შემამსუბუქებლად ცნობილ იქნა ის გარემოება, რომ პრინცი ანდრია გამოუცდელი იყო დიდ სამხედრო ერთეულების სარდლობაში. პრინც ანდრიეს სასამართლომ გადაუწყვიტა ღირსების აყრა და საბერძნეთიდან სამუდამოთ გაძევება.

გენ. ნიდერის გადადგომა.

კროიდონი. 4 დეკემბერი. ათინიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გენ. ნიდერი გადადგა, რადგან ვერ შესძლო საბერძნეთის ჯარებში დისციპლინის განმტკიცება.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. ათინის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის არმიაში ყოველდღე ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის შემთხვევას, განსაკუთრებით იმ ჯარებში, რომლებიც ფრაკიაში იმყოფებიან.

ათინის პოლიტიკურ წრეებში მოსალოდნელად მიაჩნიათ რეაქციის შემოტევა ახალი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ფიქრობენ, რომ ვენიზელოსი დაბრუნდება ათინაში და შეადგენს მის მომხრეთაგან სამინისტროს, ისე რომ თვით არ შევა კაბინეტში.

საბერძნეთი და იტალია.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. იტალიის წარმომადგენლობამ ათინაში განაცხადა პროტესტი საბერძნეთის ყოფილი მინისტრების სიკვდილით დასჯის გამო. იტალიის ელჩს საბერძნეთში ნაბრძანები აქვს არ იცნოს საბერძნეთის ახალი მთავრობა.

ახლო აღმოსავლეთში

შეკითხვა საბერძნეთის ამბების შესახებ.

ნაუენი 3 დეკემბერი. ინგლისის თემთა პალატის წევრმა ლამბერმა შეკითხვა შეიტანა ბრიტანიის მთავრობაში, არსებობს თუ არა მართლა საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ბრიტანიის კაბინეტი აქეზებდა ბერძნებს განეგრძნოთ თავისი ოპერაციები მცირე აზიაში, და რომელნიც ადასტურებენ, ამგვარად, რომ საბერძნეთის ყოფილ მინისტრების სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი არის ბრიტანიის მთავრობა.

საბერძნეთი და ბალკანეთის სახელმწიფოები.

რომი. 3 დეკემბ. ბელგრადიდან და ბუხარესტიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სამხრეთ სლავიის და რუმინიის მთავრობები ახლო მომავალში გაგზავნიან ჯარის ნაწილებს საბერძნეთის საზღვარზე საბერძნეთის არმიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დასაწყებათ.

დასავლეთ ფრაკიაში

მოსკოვი, 5 დეკემბერი. არეულობამ დასავლეთ ფრაკიაში მწვავე ხასიათი მიიღო. სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა, ორივე მხარე ძლიან დაზიანდა, აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს აუარებელი ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და სხვა მასალები. ბერძნების მიერ გაგზავნილმა დამხმარე ძალებმა უარი სთქვეს აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე.

აჯანყება დასავლეთ ფრაკიაში

ჰანოვერი, 5 დეკემბერი. „ჩიკაგო ტრიბუნ“ი იტყობინება, რომ ოსმალეთის აჯანყებულმა მცხოვრებლებმა დასავლეთ ფრაკიაში ეს მხარე გამოაცხადეს ავტონომიურად. სატახტო ქალაქად გამოცხადებულია კსანტია.

გერმანიის ამბები

პუანკარეს ახალი გეგმა.

ჰანოვერი. 3 დეკემბ. ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად, პუანკარე წარუდგენს ლონდონის თათბირს თავის ახალ საკონტრიბუციო გეგმას.

უწესოებანი აახენში.

ჰანოვერი. 3 დეკემბერი. აახენში უწესოების დროს, რომელიც დაიწყო ძვირის ნიადაგზე, პოლიციამ იარაღს მიმართა.

ტარიფები და ფასები გერმანიაში.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. დეკემბერში რკინის გზაზე დიდდება ტარიფი. მოსალოდნელია ფასების მომატება ნახშირზე და ელექტრონზე. დეკემბერში ორჯერ გადიდდება ფასი საფოსტო ამანათებზე.

სინდიკალისტების ყრილობა.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. სინდიკალისტების ყრილობამ ერფურტში ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ურჩევენ მუშებს მიიღონ საერთო გაფიცვების და პირდაპირი მოქმედების, საბოტაჟის და ობსტრუქციების ტაქტიკა. ყრილობამ გადასწყვიტა დაარსონ ბერლინში სინდიკალისტების ინტერნაციონალი.

რეიხსტაგის მუშაობის განახლება.

ჰანოვერი. 5 დეკემბერი. 4 დეკემბერს გერმანიის რეიხსტაგმა განაახლა თავისი მუშაობა.

შეთქმულება შეიდემანის წინააღმდეგ.

ჰანოვერი. 5 დეკემბერი. ლეიპციგის სახელმწიფო სასამართლოში დაიწყო შეიდემანის საწინააღმდეგო შეთქმულებაში ბრალდებულების საქმის მოსმენა. ამ საქმეში ბრალს სდებენ ვეჭერ გუსტერტს და ეშლემერს.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

კუნოს განცხადება.

ჰანოვერი 5 დეკემბერი. კანცლერმა კუნომ პრუსის მუშაკთა წარმომადგენლების მიღების დროს განაცხადა, რომ ახალი კაბინეტი დგას ვეიმარის შეთანხმების ნიადაგზე და რომ იგი შესდგება ისეთი პირებისაგან, რომელნიც ასრულებენ თავის ლს. საფრანგეთის უკანასკნელ მუქარის შესახებ რეინლანდის მიმართ, კუნომ მტკიცედ განაცხადა რომ რეინლანდი ეკუთვნის გერმანიას და კი არავის არ მიეცემა.

ინგლისი.

ინგლისის პარტიებში.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. ხოცვა იზმის მომავალ საშიშროების გამო ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საჭიროა ყველა ძველი პარტიების გაერთიანება. ჩემბერლენს განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს კონსერვატორების შეთანხმებას ლიბერალებთან.

ინგლისია დამნაშავე.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. „მატენი“ აქვეყნებს ვენიზელოსის საიდუმლო მიწერ-მოწერას, საიდანაც მოჩანს, რომ მცირე აზიაში მთელი კამპანია მოწყობილია ბერძნების მიერ საბერძნეთისადმი ლოიდ ჯორჯის დაპირების გამო.

ლონდონის ფაშისტები.

რომი. 5 დეკემბერი. ლონდონის გაზეთი „სტარ“ გადმოგვცემს ლონდონის ფაშისტების განცხადებას, რომ მუსოლინის ლონდონში ჩამოსვლის დროს ყველა ფაშისტები ფაშისტების სადარბაზო ტანისამოსში მის შესახვედრად შეიკრიბებიან სადგურზე.

საფრანგეთი

ბონარ ლოუ უმუშევრობის შესახებ.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. უმუშევართა დეპუტაციის მიღებაზე უარის თქმას ბონარ ლოუ ხსნის მით, რომ უმუშევრების მიღებას ჩათვლიან მათ გამარჯვებად.

ამერიკა

ამერიკის არმია.

მოსკოვი 5 დეკემბერი. ვაშინგტონის კონგრესისათვის წარდგენილ წლიურ ანგარიშში ამერიკის სამხედრო საქმეთა სტატს სეკრეტარმა აღნიშნა, რომ 125 000 სალდათისაგან შემდგარი არმია არ არის საკმარისი ეროვნული თავდაცვისათვის და დაჟინებით მოითხოვდა ძლიერ საჰაერო ფლოტის შედგენას.

ჩინეთი.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. პროგრესისტების გამარჯვებას მოყვა პეკინში ახალი მთავრობის შედგენა ამერიკანოფილის ვან ტასის მეთაურობით.

წითელ რუსეთში

რუსეთი

დონის აუზში

მოსკოვი, 5 დეკემბერი. მდგომარეობა დონის აუზში უმჯობესდება. ნახშირის ამოღება მატულობს. ნოემბრის სამი კვირის განმავლობაში ამოღებულია დაახლოვებით 20 მილ. ფუთი. პურით დონის აუზი უზრუნველყოფილია ნახევარი წლით. სწარმოებს ხორცის და ზეთის შესყიდვა.

პოალეი ციონის კონფერენცია

მოსკოვი. 5 დეკემბ. 1 დეკემბერს გაიხსნა პოალეი ციონის ებრაელების კომპარტიის სრულიად-რუსეთის კონფერენცია. 2 დეკემბრის სხდომაზე კონფერენციამ ერთხმად დაადგინა გააუქმონ პოალეი ციონის კომპარტია და შეუერთონ რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

კონგრესების წევრთა გაცილება

მოსკოვი. 5 დეკემბერი მოსკოვის მუშებმა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის მეთაურობით ზეიმით გააცილეს კომინტერნისა და პროფინტერნის დელეგატები. ზეიმში მონაწილეობას ღებულობდა დაახლოვებით 1500 მუშა და მუშა ქალი, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ ფაბრიკა-ქარხნებიდგან.

დიდ თეატრში კამენევის და ზინოვიევის სიტყვების შემდეგ მოსკოვის მუშებმა მიართვეს კონგრესების წევრებს საჩუქარი. მისასალმებელი სიტყვებით და რეზოლიუციებით გამოვიდნენ ფაბრიკების, ქარხნების და პროლეტართა ბავშვების წარმომადგენლები.

საღამოს, კომინტერნის, პროფინტერნის და ახალგაზრდობის ინტერნაციონალის კონგრესთა წარმომადგენლები პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების, მოსკოვის მუშების, მუშა-ქალების და წითელ არმიელთა თანხლებით გაემგზავრენ კავშირთა სახლში, სადაც გამართული იყო გამოსათხოვარი ვახშამი 2,500 კაცისათვის.

სპირიდონოვის მკვლელთა პროცესი

მოსკოვი. 4 დეკემბ. მუშა კორესპოდენტის სპირიდონოვის მკვლელთა პროცესზე მოწმე ფილატოვის ჩვენება, ბრალდებულთა ბატონობის ხანაში ფაბრიკის ყოფა-ცხოვრების საშინელ სურათს იძლევა. ფირსონ ვოლოდინის ჯგუფი პროვოკაციის რთული სისტემით იცავდა თავს „არა სანდო“ პირებისაგან. ფილატოვი ადასტურებს, რომ ვოლოდინი ხელს უშლიდა დაჭრილ სპირიდონოვის წაყვანას. ის სროლით ფანტავდა იმათ, ვინც ცდილობდა დაჭრილის შველას. კოზელინი იძლევა ჩვენებას, რომ ვოლოდინი მკვლელობის შემდეგ სრულებით ნორმალურად გამოიყურებოდა. ამრიგად, უსაფუძვლო უნდა იქნას ის აზრი, თითქოს ის მოქმედობდა სიმთვრალის გავლენით. სასამართლოს მიერ მოწვეულ ფსიქიატრი-ექსპერტის დასკვნით ვოლოდინი ავადმყოფია იდიოტიით, მაგრამ ფსიქიურად სრულებით ნორმალური ადამიანია.

მოსკოვი 4 დეკემბ. 2 დეკემბერი, დილის 5 საათზე კითხულობენ სასამართლოს განაჩენს სპირიდონოვის საქმის შესახებ: ვოლოდინს მიუსაჯეს ათი წლის ციხე; ფსისევს, ლუკინს და იანკოს—8 წლის ციხე. უკანასკნელს ასზე ამნისტიის გავრცელების გამო სასჯელი უმცირდება 4 წლამდე. დანარჩენ ბრალდებულთა შესახებ სასამართლომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წინაშე, რათა მათზე არ იქნას ამნისტია გავრცელებული.

სამეურნეო ფრონტზე

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ქუტომირში აამუშავეს თუჯის ჩამოსხმელი ქარხანა, ქარხანას საკმაოდ აქვს ნედლი და სათბობი მასალები.

— ოდესის ტყავის ქარხნის წარმოება აღემატება ომამდე არსებულ ნორმას 60 პროცენტით.

გაფიცვები

მოსკოვი, 5 დეკემბერი. მაისის შემდეგ ოდესაში გატარებულია 8 გაფიცვა, რომელიც მოედო 28 ქარხნის წარმოებას. ყველა გაფიცვებს ხელმძღვანელობდენ პროფკავშირები და დამთავრდა მუშების გამარჯვებით.

მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება

მოსკოვი, 5 დეკემბერი. ოდესის პროფკავშირებმა მათ მიერ იჯარით აღებულ სახლებში ჩაასახლეს 1500 მუშა, პროფკავშირების წევრები, რომლებიც ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობდენ.

წითელი ფლოტის კვირა.

მოსკოვი. 5 დეკ. 29 ნოემბრიდან კალომნში გატარებულ იქნა წითელი ფლოტის კვირა მოგროვებულია ფულად 30,000 და მრავალი პროდუქტები, რომლის ნაწილი გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

პოლიტიკურ განათლების წარმომადგენლთა ყრილობა

მოსკოვი. 5 დეკ. პოლიტიკურ განათლების წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის ყრილობის პირველ დეკემბრის სხდომაზე, სრ. რუს. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კულტურულ მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. საველიევისა, რომელმაც აღნიშნა, რომ კავშირის განმანათლებელი მუშაობა მიმართული იყო პროფესიონალურ პროპაგანდისაკენ, მუშების წარმოებითი პროფესიონალურ განათლებისაკენ. კავშირი აწყობდა პროფესიონალურ სკოლებს და პროფსექციებს პარტშკოლებში, მართავდა ლექციებს პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუშებს ახასიათებს სტიქიური ლტოლვა საერთო განათლების მიღებისაკენ.

საორგანიზაციო საკითხის შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია პოლიტიკურ განმანათლებელ დაწესებულებათა სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებზე მიმაგრების აუცილებლობა. პოლიტიკურ განათლების განყოფილებები უნდა იღებდნენ სახ. განათ. განყოფ. ადგილობრივ ბიუჯეტის მეათედს. რეზოლიუცია კატეგორიულად წინააღმდეგია ხელოვნების მთავარი კომიტეტის ცალკე დაარსების.

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის მოხსენებით მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც ყრილობა ესალმება ანტირელიგიურ ხასიათის დღესასწაულებს, როგორც არის, მაგ., ახალგაზრდ. კომუნისტურ კავშირის დაბადება, ორგანიზაციის ინიციატივას.

სასკოლო მუშაობის შესახებ რეზოლიუციაში ყრილობა ადგენს საგუბერნიო ლიკსკომებში აღძრას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხი, გააძლიეროს მეცადინეობა პარტსკოლებში კურსანტების და სამოსწავლო პერსონალის შემოწმებით.

პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობაა ევალება სახალხო კომისართა საბჭოსთან ერთად გაითვალისწინოს ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილება განათლების მუშაკების მომზადებაში.

სკოლის გარეშე აგიტაცია პროპაგანდის შესახებ ყრილობას აუცილებლად მიაჩნია ყოველგვარ სკოლის გარეშე აგიტაციის გაერთიანება, სოფლებში მუშაობის გაძლიერება, გლეხებსა და მუშებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით სასოფლო-მეურნეობის ასაყვავებლად.

სამკითხველო ქოხები უნდა გადიქცენ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის კერად.

— ყრილობამ მოისმინა კოლესნიკოვას მოხსენება სკოლის გარეშე აგიტაციის და პროპაგანდის შესახებ. კოლესნიკოვამ აღნიშნა, რომ სკოლის გარეშე აგიტაციის და პროპაგანდის ახლად შექმნილ განყოფილების წინაშე წამოიჭრება შემდეგი ამოცანები: პოლიტიკურ განათლების დაწესებულებათა ქსელის რეგულიაცია; ბიბლიოთეკების, კლუბების და სამკითხველო ქოხების მუშაობის საორგანიზაციო გაერთიანება და აგიტაციის და პროპაგანდის ჩასატარებლად მეთოდოლოგიურ ხასიათის სახელმძღვანელოების დამუშავება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ განათლების ზოგიერთმა საგუბერნიო განყოფილებებმა ხელიდან გაუშვეს იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელობა, რომელნიც მოიხსნენ სახელმწიფო მომარაგებიდან.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. რადეკი.

კომინტერნში

მეოთხე კონგრესი

კაშენის სიტყვა

2 დეკემბერს, კონგრესზე გრძელდება საფრანგეთის საკითხის განხილვა. კაშენი, საფრანგეთის პარტიის ცენტრის სახელით, მხარს უჭერს ფრაქციის ლიკვიდაციას და აცხადებს, რომ მისი ჯგუფი სასტიკად დაიცავს და განახორციელებს კონგრესის ყველა დადგენილებებს.

რენუს განცხადება.

რენუ თავის ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ უკანასკნელი ემორჩილება კონგრესის ყველა დადგენილებებს და შეეცდება ფრაქცია განხეთქილების მოსპობას. ფრაქციათა დარწმუნდა საფრანგეთში ერთიან ფრონტის ტაქტიკის სისწორეში.

სუვარის განცხადება.

საფრანგეთის კომპარტიის მარცხენა ფრთის სახელით სუვარი აცხადებს, რომ მემარცხენეთა ფრაქცია ამაყობს იმ ტაქტიკით, რომელიც სწორედ არის მის მიერ აღიარებული. ფრაქცია მომავალშიც დაიცავს საერთაშორისო დისციპლინას.

ტროცკი საბოლოო სიტყვაში გამოსთქვამს იმედს, რომ ფრაქციული უთანხმოება საბოლოოდ მოსპობილი იქნება საფრანგეთის კომპარტიაში.

რეზოლიუცია საფრანგეთის საკითხის შესახებ.

კონგრესი ერთხმად იღებს საფრანგეთის საკითხის შესახებ რეზოლიუციას, რომელიც პარტიის ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობას აწესებს ფრაქციათა პროპორციონალურ წარმომადგენლობის პრინციპზე. კონგრესი ავალებს ც. კომიტეტის არსებულ შემადგენლობას, იანვარში პარტიულ კონფერენციის მოწვევამდე განაგრძოს პარტიის ხელმძღვანელობა. ფროსარი და სუვარი უახლოეს სამი თვის განმავლობაში ირიცხებიან პარტიის წარმომადგენლებად კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტში. კაშენი რჩება „ჰუმანიტე“ს მთავარ რედაქტორად. კონგრესი უკრძალავს პარტიის წევრ ჟურნალისტებს ბურჟუაზიულ გაზეთებში თანამშრომლობას.

გასამართლებულ კომუნისტის მისალმება.

მოლაროვი აცხადებს, რომ საფრანგეთის კომუნისტს (გვარი დამახინჯებულია) მიუსაჯეს დაპატიმრება 13 თვით. კონგრესი ესალმება გასამართლებულს.

რეზოლიუცია ისპანიის საკითხის შესახებ.

მიღებულია რეზოლიუცია ისპანიის საკითხის შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ისპანიის პარტია არ უნდა წავიდეს დათმობის გზაზე ანარქო-სინდიკალისტების მიმართ და ისპანიის კომუნისტებმა უნდა იმუშაონ პროფკავშირებში.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობისათვის

თელავის მაზრის საბჭოთა ყრილობა დანიშნული იყო 3 დეკემბრისთვის. არჩევნები ყველა თემებში ბრწყინვალეთ დამთავრდა.

ქალაქის საბჭოს სხდომა დანიშნულია 10 დეკემბრისთვის. კომპანიის მოსაწყობათ მობილიზაციით იყვენ მოწვეული საუკეთესო პარტიული ძალები.

ფედერაციის გარშემო გამოტანილია რეზოლიუციები, რომელშიც მშრომელი გლეხობა მხურვალეთ ესალმება ფედერაციას, ხედავს მასში ეკონომიურ აყვავებას და პოლიტიკურ გაჯანსაღების ნიშანს. უსურვებენ გამარჯვებას საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას.

მისალმება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელზე სოხუმიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

აფხაზეთის მშრომელნი, შეკრებილნი აფხაზეთის საბჭოთა საგანგებო ყრილობაზე, უგზავნიან მხურვალე სალამს საბჭოთა ამიერ-კავკასიის იდეურ ხელმძღვანელს და თქვენის სახით სალამს უძღვნიან მსოფლიო რევოლიუციის ავანგარდს რუსეთის კომუნისტურ პარტიას პროლეტარიატის ჭეშმარიტ დამცველს. გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან კავშირს, გაუმარჯოს კაპიტალის წინააღმდეგ ერთიან ფრონტს, გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა წითელ არმიას, კომინტერნის არმიას.

პრეზიდიუმი.

აფხაზეთში

სოხუმიდან ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევმა საორგანიზაციო კომისიამ მიიღო შემდეგი დეპეშა

აფხაზეთის საბჭოთა ყრილობა დამთავრდა 30 ნოემბერს; დელეგატებათ ამიერ-კავკასიის ყრილობაზე არჩეულია შემდეგი ამხანაგები: ორჯონიკიძე, ა. კირტავა, ათარბეგოვი, ლაკობა, კარტოზია, კუხალეიშვილი, კრეულიანსკი, ოჰანოვა, პუდაზაძე, ქვანია, ვარდანია, ჯავახია, აკირბა, ვ. ანბა, ცამლიძე, დამენია, ხაზურძანია, ჯაბავა, ეშბა და ორი კანდიდატი უბირია და ჩალიგავა.

აფხაზეთის საარჩევნო კომისიის და საბჭოების საგანგებო ყრილობის თავმჯდომარე ჰ. ლაკობა.

საბჭოთა ყრილობის მდივანი **ნერონოვი.**

—

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა:

სოხუმიდან: აფხაზეთის მშრომელნი, შეკრებილნი აფხაზეთის საბჭოთა საგანგებო ყრილობაზე, უგზავნიან მხურვალე სალამს საბჭოთა უმაღლეს ორგანოს, საბჭოთა ამიერ კავკასიის ხელმძღვანელს და თქვენის სახით სალამს უძღვნიან ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების მშრომელთ. ვითვალისწინებთ რა არსებულ მდგომარეობას, ჩვენ ყველა, როგორც ერთი კაცი, ნათქვამის სრულის შეგნებით, ვაცხადებთ აფხაზეთის მშრომელთა სახელით, რომ მთელი ჩვენის ძალ ღონით მხარს დაუჭერთ საბჭოთა კავშირს მის მუშაობაში ამიერ-კავკასიის მშრომელთა საკეთილდღეოთ გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ერთიან კავშირს, გაუმარჯოს ერთიან ძლიერ ფრონტს კაპიტალის წინააღმდეგ, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას

პრეზიდიუმი.

—

გორიდან: გორის მაზრის საბჭოთა ყრილობა მხურვალეთ გესალმებათ თქვენ, როგორც ამიერ კავკასიის მრავალ ტომიან მოსახლეობის შორის აღდგენის ხელმძღვანელს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს ამიერ კავკასიის ხალხთა სოლიდარობას, გაუმარჯოს ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციას, გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

საბჭოთა ყრილობის თავმჯდომარე **მოწონელიძე.**

—

ქუთაისი. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევმა ცენტრალურმა საორგანიზაციო კომისიამ ქუთაისიდან მიიღო ცნობა, რომ ამიერ-კავკასიის ყრილობაზე მაზრიდან არჩეულია 15 დელეგატი, ქალაქიდან 4 დელეგატი.

პროფინტერნში

მეორე კონგრესი

სამანდატო კომისიის მოხსენება.

მოსკოვი 5 დეკ. პროფინტერნის კონგრესზე აცილოვიჩმა სამანდატო კომისიის სახელით განაცხადა, რომ კონგრესზე გამოცხადდა სულ 213 დელეგატი, რომელნიც არიან 12 მილიონზე მეტ დარაზმულ მუშების წარმომადგენლები, სულ წარმოდგენილია 38 ქვეყანა გარდა ევროპის ქვეყნებ სა წარმოდგენილი არიან: ავსტრალია, ბრაზილია, შეერთებული შტატები, კანადა ჩილი, ურაგვაი, ჰოლანდია, ინდოეთი, ჩინეთი იაპონია და სხვა. დელეგატების 82 პროც. მუშებია.

გარდის მოხსენება უმუშევრობის შესახებ

გარდი აკეთებს მოხსენებას უმუშევრობის შესახებ და ამბობს: „ვერსალის ხელშეკრულებამ ჩაუყარა საძირკველი თანამედროვე უბედურობას გერმანიაში ყველა მუშებს დიდი ხნის განმავლობაში მოუხდებათ მუშაობა მცირე ხელფასით. საფრანგეთში და ინგლისში ასეული ათასი მუშები სრულიად უმუშევრად დარჩებიან

ამერიკაში 5.700.000 უმუშევარია, ვინაიდან დოლარის მაღალი კურსი არ იძლევა საშუალებას, გატანილ იქნას საქონელი ევროპაში. პატარა ჩეხო-სლოვაკიაში 60.000 უმუშევარია წითელმა პროფინტერნმა უნდა შეიმუშავოს პროგრამა უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ.

აცალოვიჩის მოხსენება კოოპერაციის და პროფკავშირების ურთიერთობის შესახებ.

აცალოვიჩი აკეთებს მოხსენებას კოოპერაციის და პროფკავშირთა ურთიერთობის შესახებ. ზოგიერთ ქვეყნებში დიდ ყურადღებას აქცევენ კოოპერაციისადმი; რეფორმისტები პირიქით დიდ მნიშვნელობას აძლევენ მას. ჩვენ უნდა დავიკავოთ საშუალო პოზიცია. კოოპერაციისათვის გვერდის ახვევა არ შეიძლება, ვინაიდან იგი აერთიანებს მრავალ მილიონიან მუშა მოსამსახურეებს გერმანიაში მუშათა 78 პროც. მონაწილეობს კოოპერაციაში. კოპერაცია სასარგებლოა როგორც შკოლა, რომელიც ამზადებს მეურნეობის ორგანიზატორებს.

მომხსენებელი საკოოპერაციო კომისიის სახელით ადგენს პროგრამად, რომელიც 3 მუხლისაგან შესდგება: დახმარება მომხმარებელ მუშათა კოოპერაციას, უარყოფა რეფორმისტულ (დამახინჯებულია)... კოლექტიურ დუქნების უარყოფა, იმ დუქნების, რომელნიც გავლენას ახდენენ პროფკავშირებზე.

მონმუსოს წინადადება.

საფრანგეთის წარმომადგენელ მონმუსოს შემოაქვს წინადადება, რათა 25 დეკემბრისათვის მოწვეულ იქნას რევოლიუციონურ სინდიკალისტების კონფერენცია.

პროფინტერნის კონგრესის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, კომინტერნისადმი დამოკიდებულების შესახებ, ნიადაგი გამოაცალა ყველა გამოიშველებს, როგორც მარჯვენის, ისე მარცხენის: არც ერთ სინდისიერ სინდიკალისტს არა აქვს უფლება დარჩეს წითელ პროფინტერნის გარეშე.

კონგრესი ერთხმად იღებს მონმუსოს წინადადებას და პროფინტერნის მოწოდების ტექსტს ყველა რევოლიუციონურ სინდიკალისტებისადმი

გელერის მოხსენება კოლონიების საკითხის შესახებ

კონგრესის 2 დეკემბრის სხდომაზე კოლონიების საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გელერმა რომელმაც აღნიშნა კალონიების დამონავება ევროპის სახელმწიფოების მიერ. ომის დროს კოლონიებში ძალიან განვითარდა ინდუსტრია „რის გამოც დაიწყო პროფესიონალური მოძრაობა. უკანასკნელი, რომელიც წინედ ნაციონალისტების ხელში იმყოფებოდა კლასიურ ხასიათს ღებულობს, პროფინტერმა ხელიდან უნდა გამოგლიჯოს ნაციონალისტებს პროფესიონალური მოძრაობა და დაუკავშიროს ევროპის მუშები კოლონიების პროლეტარიატს კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავსტრალიის დელეგატის გარდენის სიტყვა.

ავსტრალიის დელეგატი გარდენი გამოსთქვამს რწმენას, რომ შემდეგი ომი დაიწყება წყნარ ოკეანის ნაპირებზე იაპონიის და ამერიკის შორის. ამ მიზნით ამერიკა სცდილობს გადააქციოს ავსტრალია თავის პლაცდარმად.

1923 წელში განზრახულ წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა კონფერენციის საშუალებით საჭიროა თავიდან იქნას აშორებული ამ ომის საფრთხე.

მალაკა (იავას) და სინკის (ინდოეთის) განცხადებანი.

მალაკა და სინკი აღნიშნავენ, რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ ქვეყნებში რევოლიუციონურ-ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც მეთაურობს სარიკატისლამის პარტია იავაში და განდიზმი ინდოეთში და გამოყენებულ იქნას ეს მოძრაობა რევოლიუციონური მიზნებისათვის.

ანდრეევის მოხსენება რუსეთის პროფმოძრაობის შესახებ.

ანდრეევმა რუსეთის პროფ. მოძრაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ რუსეთის მუშათა ხელფასი მუდმივ მატულობს და თანდათან მჭიდრო ხდება კავშირი პროფკავშირთა და მასებს შორის.

არჩევნები.

კონგრესმა აირჩია ახალი აღმასრულებელი ბიურო. გენერალურ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ლოზოვსკი.

კონგრესი დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

დუშეთი.

(დეპეშა)

ს. კ. პ. ცეკას.

იანეთის მაზრის საბჭოთა მეორე ლობა მოგესალმებათ და აღთქმას ბს გაატაროს ყოველი ღონის ძი- თ ცხოვრებაში ს. ც. კ. მიერ ომელთა საკეთილდღეოთ აღებუ- პოლიტიკური და ეკონომიური

პრეზიდიუმი.

აფხაზეთი

საბჭოების ყრილობა.

აიხსნა საბჭოების საგანგებო ყრი- ბა, რომელზედაც დაესწრო სულ დელეგატი, მათ შორის 30 სოხუ- ან და 65 მაზრებიდან. ამხ. ლა- ას მოხსენების შემდეგ საერთაშო- ო და საშინაო მდგომარეობისა და ფედერაციის შესახებ მიღე- ლ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ალმება ამიერ კავკასიის ყრილობას, რ კავკასიის ფედერაციას და საბ- თა რესპუბლიკების კავშირს. ანსთა სახ. კომისარის ამხ. ალანი- მოხსენებით აფხაზეთის საფინანსო ტიკის შესახებ, რომელიც აღნიშ- ვა აფხაზეთის ბიუჯეტის კატასტ- ფულ მდგომარეობას, მიღებულ რეზოლიუცია, სადაც გამოთქმუ- სურვილი აფხაზეთისა მიერ-კავ- რესპუბლიკათა ბიუჯეტში ალოთ შეტანის შესახებ. არჩეულ 19 დელეგატი ამიერ კავკასიის ოთა ყრილობაზე.

აზერბეიჯანი

ამიერ-კავკასიის ესერების პროცესი.

დეკემბერს აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის უმაღ- რევ ტრიბუნალში დაიწყო ამიერ კავკასიის და აზერბეიჯანის სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარ- 25 წევრის და რამდენიმე მო- ქისტების საქმის გარჩევა, რომელიც ბრალად ედებათ 1921 წ. შე- ღებულ აჯანყებისათვის მზადება 1922 წ. მთელ რიგ ნავთის სამ- წველოსათვის ცეცხლის გაჩენა. ლდებულებმა მაშინვე სცადეს ნტრაცია მოეხდინათ რესპუბ- კის უმაღლეს ორგანოებისა და თელი არმიის შეურაცმყოფელ პო- ტიკურ დეკლარაციის გამოქვეყნე- გზით მუსულმან ერების თავკაც მარემ საფიკიურდსკიმ დემონსტ- ტიულად მოითხოვა საქმის თურ- ენაზე განხილვა, რითაც მოწადინებული იყო თავიდანვე გაეძლიერებინა ნაციონალური ზრახვები. სასამართლოს ბრალდებამ გამოაშკარა ამ მოთხოვნილების სარჩული.

ბრალდებულთა შორის რამოდენიმე მსხვილი ფიგურებია: შტერიკი—ესერების პარტიის ცეკას წარმომადგენელი ბაქოში, თარხანოვი—ამიერ კავკასიის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საფიკიურდსკი—ყოფილი იუსტიციის მინისტრი, განჯინსკი—მუსავატისტების მთავრობის ფოსტის ყოფილი მინისტრი. პროცესის პირველ დღეს გამოქვეყნებულ იქნა ფართო საბრალდებლო ოქმი, რომელშიაც დახასიათებულია ამიერ კავკასიის ესერების კონტრ რევოლიუციონური საქმიანობა რევოლიუციის დროს. საღამოს დაჰკითხეს ძველ ესერ ქალს სუნდუკიანცს, რომელიც აწარმოებდა მთელს ორგანიზაციულ მუშაობას და კავშირი ჰქონდა ჩერნოვთან, და ოსეპიანცს, ცენტრო კასპიის დიქტატურის ყოფილ მდივანს, რომელსაც წილი უდევს ბაქოს 26 კომუნისტის დაღუპვაში. პროცესი გაგრძელდება ორი კვირით და დიდ ინტერესს იწვევს ბაქოს პროლეტარიატის შორის.

ბაქო. 4 დეკ. ესერების პროცესი. ამიერ კავკასიის ესერების საქმის განხილვის გასაადვილებლად, უმაღლესმა რევტრიბუნალმა საქმის მოსმენა დაჰყო 5 მუხლად:

1) ესერების ორგანიზაციული—საგიტაციო მუშაობა 1920 წლიდან დაპატიმრების დღემდე;

2) მუსულმანური ჯგუფი;

3) თეთრგვარდიელების და ბანდიტების გამოსვლებში მონაწილეობის მიღება ლენქორანის მაზრაში;

4) დამოკიდებულება ვრანგელის მომხრეებთან;

5) სამრეწველოების დაცვა. ბრალდებულების უმრავლესობამ დანაშაული არ აღიარა; ნაწილმა დემონსტრატიულად განაცხადა სინანული, რომ კიდევ ცოტა იმუშავეს კომუნისტების დიქტატურის ჩამოსაგდებად. პირველი ორი დღის განმავლობაში სასამართლომ განიხილა ბრალდების პირველი მუხლი და გამოაშკარავა ნამდვილი სურათი ამიერ კავკასიის ესერების ორგანიზაციული მუშაობისა, რაც დამთავრდა თბილისის რეზოლიუციის მიღებით, რომელშიაც მოუწოდებდენ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებისაკენ. გამოაშკარავებულია ორგანიზაციის დამოკიდებულება ადმინისტრატიულ ცენტრთან პარიზში, რომელიც აწვდიდა მას დირექტივებს პარტიულ მიზნებისათვის.

ტფილისის საბჭოს პლენუმი

4 დეკემბერს სახალხო სახლში ამხ. დუმბაძის თავმჯდომარეობით გა- რთა თბილისის საბჭოს პლენუმის ომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ხენება საბჭოთა სოც. რესპუბლი- ის კავშირის შესახებ და არჩეულ ა დელეგატი ამიერ-კავკასიის საბ- თა ყრილობაზე.

აბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირი.

ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება. დაასაბუთა რა თეორიულად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის აუცილებლობა, როგორც ლოღიკური დეგი ოქტომბრის პროლეტარულ ევოლიუციისა, მომხსენებელი შეეხო ორმებს, რომელშიაც უნდა ჩამოყალიბდეს ეს კავშირი. ერთდებიან სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრების მხარეები, რომელნიც საერთოა ლა რესპუბლიკებში, როგორიც : სამხედრო ორგანიზაცია უნდა ქვემდებაროს ერთ ცენტრს, ვაჭ- ბა, საგარეო პოლიტიკა და სამეურნეო ცხოვრების ის საკითხები, მელიც განუყოფელია—მიმოსვლა, ტა-ტელეგრაფი და სხვ. რაც ხება ფინანსიურ, შრომის და მრეწველობის საკითხებს, ისინი შეიძლება იქნას მოწესრიგებული ცენტრიდან, მაგრამ, რამდენადაც სამეურნეო ობები უკეთესად მოგვარდება ილობრივ, იმდენად კავშირის მონაწილე რესპუბლიკები შეინარჩუნებენ ამ საკითხებში სათანადო თვითმოქმედებას. მართვა-გამგეობის, მიწათმოქმედების, სახალხო განათლების, სოციალურ უზრუნველყოფის და ალო ჯანმრთელობის საკითხები რჩება კავშირში მონაწილე რესპუბლიკების თვითმოქმედების ფარგლებში.

კონკრეტიული ფორმები ასეთია: ღლესი საკანონმდებლო ორგანო ება საკავშირო ცაკი, აღმასრულებელი ორგანო საკავშირო სახ. კომისართა საბჭო. საერთო საბჭოთა ვრობას ძალა-უფლება ექნება იმ რგში, რომელიც აერთიანებს სოც. ჭოთა რესპუბლიკებს.

უკრაინის ცაკის წევრის ამხ. მანუილსკის სიტყვა.

ამხ. მანუილსკი, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან საბჭოს წევრები, ესალმება საბჭოს არა მარტო უკრაინის ცაკის, არამედ საფრანგეთის პროლეტარიატის სახელით, რომლის შორისაც ის ეხლახან იყო და ჩაატარა საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა. შემდეგ იგი შეეხო საკითხს საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის შესახებ და აღნიშნა, რომ პირველად ეს საკითხი წამოყენებულ იქნა უკრაინაში, რომელსაც საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობაში არ ჰქონდა სხვა კრიტერიუმი გარდა იმისა, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა შინაურ და გარეშე მტრებისაგან და თუმცა დენიკინ-ვრანგელის კონტრ რევოლიუციონურ მოძრაობის დროს, უკრაინამ დაჰკარგა პარტიის წევრთა 30 პროცენტი, იგი ეხლაც მზათ არის დაღვაროს სისხლი საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად.

თუ სამოქალაქო ომის ხანაში უკრაინა დარწმუნდა ძალთა გაერთიანების აუცილებლობაში, დღეს, როდესაც ბრძოლა გადადის ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში, ამ გაერთიანებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა. გარდაუვალი კანონია, რომ ეკონომიურ ბრძოლაში უფრო სუსტი იღუპება და რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა განმტკიცდეს ეკონომიური მდგომარეობა, რაც მოსახერხებელია მხოლოდ გაერთიანების გზით.

განსაკუთრებით საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გაერთიანება სახელმწიფოებრივ მაშტაბით უახლოვდება გაერთიანებას საერთაშორისო მაშტაბით.

თ. ღლონტის სიტყვა.

ილაშქრებს რა არსებულ აზრის წინააღმდეგ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კონტრ რევოლიუციონერობის შესახებ, ამხ. ღლონტს მოჰყავს ორი მაგალითი, რომელმაც უნდა დაარწმუნოს ყოველი ქართველი, რომ სეპარატიზმი არ არის ხელსაყრელი.

ერთი მაგალითი—მცხოვრებთა რაოდენობის შემცირება დამოუკიდებელ არსებობის დროს და მეორე—მნიშვნელოვან ეკონომიურ ნაწილების, ბათუმის, სოხუმის და სხვ. დაკარგვა. შემდეგ ამხ. ღლონტი ილაშქრებს სეცესიის უფლების წინააღმდეგ, და ამბობს, რომ ეს ასუსტებს რევოლიუციონურ ფრონტს და გაერთიანების საფუძვლად მიაჩნია ფედერატიული პრინციპი. ამ შემთხვევაში იკვეცება ფედერაციაში შესულ რესპუბლიკების უფლებები და უმრავლესობის ნებისყოფა სავალდებულო ხდება ყველა ფედერატიულ ნაწილებისათვის.

რეზოლიუცია: ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ტფილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმმა, მოისმინა რა მან ამხ. ორახელაშვილის მოხსენება, მხურვალედ ესალმება საბჭ. სოციალისტ. რესპუბლიკების კავშირს, რომლის შემადგენლობაში ხელშეკრულებათა საფუძველზე შევლენ: საბჭოთა რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ეს ძმური კავშირი განამტკიცებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების ხელისუფლებას, რომელსაც მოუხდება ბრძოლა ჯერ კიდევ ძლიერ ბურჟუაზიულ მსოფლიოს წინააღმდეგ.

სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო განუყოფელი კავშირი ნაკარნახევია ამ ჟამად საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა მასების მეურნეობით პოლიტიკურად განმტკიცების და სამეურნეო განვითარების მიზნით.

გაუმარჯოს საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კაცობრიობის განმანთავისუფლებელ პროლეტარულ რევოლიუციას!

დელეგატების არჩევნები ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე.

ბაქოში, 10 დეკემბერს მოსაწვევ ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე ერთხმად არჩეულ იქნენ:

დელეგატებათ: 1) ს. ორჯონიკიძე, 2) ფ. მახარაძე, 3) ნარიმანოვი, 4) მიასნიკოვი, 5) ლ. დუმბაძე, 6) ს. ქავთარაძე, 7) მ. ჩოდრიშვილი, 8) მ. ორახელაშვილი, 9) კახიანი, 10) ელიავა, 11) ეგოროვი, 12) ვრაჩევი, 13) მოგილევსკი, 14) თაქთაქიშვილი, 15) დევდარიანი, 16) გოლდბაუმი, 17) ფირცხალავა, 18) ს. ზაქრაძე, 19) გ. ჭელიძე, 20) სარიჩევი, 21) ივანოვ-კავკასკი, 22) ვარტაპეტიანი, 23) ალი ტაგი-ზადე, 24) ელიაზაროვი, 25) გოზალოვი, 26) ბერბერაშვილი, 27) გეიდენი, 28) კ. ჰანტურია, (უპარტიო) 29) თ. ღლონტი, (მემარცხ. ფედერალისტი) და 30) ხუნდაძე (მემარცხენე ფედერალისტი).

კანდიდატებად: 1) ზაკომალდინი, 2) აკოფოვი, 3) სულავა, 4) ბაგიროვი, 5) ტერტეროვი, 6) ჯაფარიძე, 7) სიხარულიძე, 8) ორლიცკი და 9) მელაშვილი.

უმაღლეს სასწავლებლის განწმენდა ზედმეტ ელემენტებისაგან

ყოველ გონიერ ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს დღევანდელ უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახე.

ჩვენმა დღევანდელმა უმაღლესმა სკოლამ დაჰკარგა ის მცირეოდენი საქმიანობის სახეც, რომელიც მას წარსულში ჰქონდა.

დღევანდელ ხელისუფლების დროს კი დაუშვებელია 10,000 კაცი ირიცხებოდეს უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო დიდი უმეტესობა მათი არც თავის თავს, და მით უფრო, არც საზოგადოებას არაფერს არგებდეს. სამწუხაროა ეს მოვლენა მაგრამ რას იზამთ, როდესაც ასეთ მწარე სინამდვილის წინაშე სდგებართ. ჩვენი უმაღლესი სკოლა სავსეა ისეთ ელემენტებით, რომლებსაც არა სწავლა, არამედ სხვა რამ აინტერესებს. ჩარიცხვის დღის შემდეგ ასეთი ელემენტები დროგამოშვებით თუ იხილავენ უნივერსიტეტს თორემ ისე ქუდი რომ შეუგდოთ იქ, არ შევლენ.

მაშ სად არიან ესენი? მათ ნახავთ ყველგან გარდა უნივერსიტეტისა: ერევნის მოედანზე, გურია-სამეგრელოში, ბათომში და ბაქოში. ამ ადგილებში ისინი ეწევიან სპეკულიაციას.

არიან, რასაკვირველია, ისეთებიც, რომლებიც, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა მაინც ასრულებენ სერიოზულ აკადემიურ მუშაობას. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ასეთი სტუდენტები სახელმწიფოებრივ მუშაობაშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებენ. მაგრამ რაგინდ ბევრი არ უნდა იყვნენ მუყაითი სტუდენტები, ის შავი ლაქა, რომელსაც მათ სახელს აცხებს უსაქმო სტუდენტობა, მაინც დიდია.

და სწორეთ ამისთვის გადასდგა ნაბიჯი განათლების კომისარიატმა და უმაღლეს სკოლის პროფესურასთან ერთად შეუდგა სტუდენტების გაწმენდას. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით, ამ მოვლენას და მოუთმენლათ ველით იმ დღეს, როდესაც მეცნიერების ტაძრის კედლებიდან რკინის ცოცხით განდევნილ იქნებიან უნივერსიტეტისათვის უცხო ელემენტები. ერევნის მოედანზე და შაითან ბაზარში „კომბინაციების" მწარმოებელ სტუდენტობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტებში.

დღეს, როდესაც მთავრობამ და პროფესურამაც ხელი მიჰყვეს სტუდენტობის გაწმენდას, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გაანთავისუფლებენ ასეთ ურიგ ელემენტებისაგან ჩვენს რიგებს და ამით საშუალებას მოგვცემენ ერთის მხრივ რამოდენიმეთ მაინც გამოვაკეთოთ ჩვენი სახელი, მეორეს მხრივ კი გულდასმით დავეწაფოთ იმ მეცნიერებას, რომლისათვის ჩვენ მზათ ვართ გადავიტანოთ სიცივე და სიმშილი ოღონდ კი მივაღწიოთ ჩვენს მიზანს—გვეხდეთ წითელი სპეცები.

ძველი სტუდენტი.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად № 202.
30 ნოემბერი, 1922 წ.

ს. კ. პ. ყველა პარტორგანიზაციებს

გიგზავნით რა ამასთან ერთად რ. კ. პ. ცირკულიარს, საქართველოს კ. პ. ც. კ. წინადადებას გაძლევთ მასთან ერთად მიიღოთ სახელმძღვანელოთ შემდეგი:

დამხმარე იაჩეიკები, სადაც კი ასეთები არსებობენ, უნდა იქნენ გადაკეთებული პოლიტიკურ წრეებათ ანუ თვითგანვითარების წრეებათ პარტიის წევრთა ხელმძღვანელობის ქვეშ. იქ უნდა შევიდნენ დამხმარე იაჩეიკის ყველა წევრები, რომელთაც განვლილ მუშაობის დროს გამოიჩინეს ინტერესი და აქტიობა პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობაში. თანარჩენში მკაცრად უნდა იხელმძღვანელოთ იმ თეზისებით, რომელიც აღნიშნულია თანდართულ ცირკულიარში.

ც. კ. მდივანი საბაშვილი.

ც. კ. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ. მდივანი ა. ჯაფარიძე.

—

საკითხი უპარტიოთა შორის მუშაობის და მათთან დაკავშირების მეთოდების შესახებ ყოველთვის შეადგენდა პარტიის მუშაობაში ერთ-ერთ ძირითად საკითხთაგანს.

პარტიის მე-10 და მე-11 ყრილობებმა უპარტიოებთან კავშირის დასაჭერათ შემდეგი ძირითადი მეთოდები შეიმუშავეს:

1) იაჩეიკის სისტემატიური ღია კრებები, 2) სადელეგატო კრებები წარმოებებში და უპარტიო კონფერენციები და 3) უპარტიოთაგან თვით-განვითარების წრეების მოწყობა და მათი ჩაბმა მარქსისტულ პოლიტიკურ ცოდნის წრეებში. პარტიის პრაქტიკის შემდეგმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ამ მეთოდების მიზანშეწონილობა და კიდევ წამოაყენა ჩვენი ძველი, ნაცადი მეთოდი ინდივიდუალურად დაკავშირებისა უპარტიოებთან.

მაგრამ, ამ მეთოდების თანდათანი გაღრმავების მაგივრად, ზოგიერთმა ორგანიზაციებმა მოიწადინეს რ. კ. პარტიის თანამგრძნობ უპარტიოთა ცალკე ჯგუფების შექმნა, მაგ. რ. კ. პარტიის „დამხმარე ჯგუფები". ზოგიერთი ორგანიზაციები ამ ჯგუფებს კიდევაც აკანონებდენ შესაფერი დებულებებით და წესდებებით.

დამხმარების ჯგუფთა ორგანიზაციის ინიციატორები, ფიქრობენ რა ამით გააღრმავონ მუშაობა უპარტიოთა შორის, სრულებით არ იღებენ მხედველობაში ამ ჯგუფთა ორგანიზაციის უარყოფითი მხარეებს.

დამხმარე ჯგუფთა ორგანიზაცია ხელს უშლის პარტიულ ორგანიზაციებს მათ პრაქტიკულ მუშაობაში გააღრმავონ უპარტიოებთან კავშირის დასაჭერათ ნაცადი მეთოდები. დამხმარე ჯგუფების ორგანიზაცია ეწინააღმდეგება ყრილობის დადგენილებათა შინაარს და ფაქტიურად აახლებს თანამგრძნობთა იმ ძველ ინსტიტუტს, რომელიც პარტიის მიერ უკუგდებულია. უკვე არსებულ კანდიდატთა ინსტიტუტთან ერთად ქმნის ახალ ინსტიტუტს დამხმარეებისას. ამასთან ერთად „დამხმარე ჯგუფების" შექმნა ხელს უშლის პარტიის ნორმალურ ზრდას, ვინაიდან ბევრი უპარტიო მუშა და გლეხი, დისციპლინას შეუჩვეველი ჩაეწერება უფრო ამ ჯგუფებში, ვიდრე პარტიაში. ც. კ. ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ მავნებელია როგორც პოლიტიკური, ისე ორგანიზაციულის მხრივ მიეცეს ორგანიზაციული ფორმა რომელიმე ჯგუფს, რომელიც არ ასრულებს არავითარ პარტიულ ვალდებულებებს, არ არის შეკავშირებული პარტიის დისციპლინით და არსებობს პარტიასთან ერთად, განსაკუთრებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.

ც. კ. მიუთითებს ყველა ორგანიზაციებს და პარტიის წევრებს დეკემბრის კონფერენციის დადგენილებებზე, რომლებიც დადასტურებული არიან მე-11 ყრილობის მიერ, რომ მიმდინარე მომენტის ამოცანებს შეადგენს არა იმდენათ ახალ ღონისძიებათა გამომუშავება, რამდენათაც უკვე შემუშავებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება და განმტკიცება.

ც. კ. სთვლის დამხმარე ჯგუფთა ორგანიზაციას მიზანშეწონილად და არა სასურველად და წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს მთელი ძალები და ყურადღება მიაპყრან უპარტიოთა შორის მუშაობის გაფართოვებას და გაღრმავებას, რომლის დროსაც უნდა დაემყაროს ყრილობის დადგენილებებს და პარტიულ ორგანიზაციების პრაქტიკას, რისთვისაც საჭიროა:

1. მოაწყოთ იაჩეიკების სისტემატიური ღია კრებები, მიიწვიოთ მათზე უპარტიონი, თვალყური ადევნოთ უპარტიოთა მათზე დასწრებას და აღრიცხოთ იგი, მოაწყოთ და ჩაატაროთ ეს კრებები წესიერათ და დაკვირვებით, შეიმუშაოთ ის საკითხები, რომელნიც აინტერესებს უპარტიოებს, მაგ.: საკითხები მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა, საბჭოთა და პროფესიონალურ მშენებლობის, წარმოების მდგომარეობის და იქ მუშაობის შესახებ, აგრეთვე საკითხები მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრებიდან და სხვ.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ და სისტემატიური მუშაობა აწარმოეთ კომუნისტების ინდივიდუალურად დაკავშირებას უპარტიოებთან, ამ მიზნისთვის უნდა იქნეს შერჩეული უფრო შეგნებული წევრები იაჩეიკისა და თანდათან გამრავლდეს ამ მუშაობაში ჩაბმულ ამხანაგთა რიცხვი, უნდა მოეწყოს მათთვის საინსტრუქტორო კრებები და აგრეთვე მოსმენილ და გარჩეულ იქნეს იაჩეიკების კრებებზე მათი ანგარიშები უპარტიოთა შორის მუშაობის შესახებ.

რ. კ. პარტიისადმი თანამგრძნობ უპარტიოების პარტორგანიზაციებთან დასაახლოვებლათ საჭიროა მოიწვიოთ და მიაღებინოთ მათ მონაწილეობა საერთო კრებებზე.

3. გაცხოველებულ იქნეს დელეგატთა კრებები, ჩაატაროთ ისინი რეგულიარულად და ყველგან ყველა საფაბრიკო და საქარხნო წარმოებებში, დაუკავშიროთ ეს მუშაობა საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებს.

4) სოფლებში ისარგებლოთ კოოპერაციით და კოხ-სამკითხველოებით, მოაწყოთ უპარტიო კონფერენციები.

5. ისარგებლოთ ამ უკანასკნელ დროში უპარტიოთა და მშრომელთა მისწრაფებით ცოდნისაკენ და ჩააბათ ისინი პოლიტ-ცოდნის, თვით-განვითარების და მარქსისტულ წრეებში.

ც. კ. წინადადებას აძლევს ყველა ოლქკომებს და მაზკომებს თვალყური ადევნონ რათა აღნიშნული ცირკულიარი შესრულებულ იქნეს ყველა სამაზრო და რაიონულ ორგანიზაციების და იაჩეიკების მიერ და თავის ანგარიშებში აღნიშნონ ის შედეგები რომელიც მიღწეული იქნება ამ მუშაობით.

ახალი საბავშვო საავადმყოფოს გახსნა

ჯანმრთელობის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მან, ჩვეულებრივი ნორმის გარდა ყოველდღიურად აძლიოს 12.000.000 მან. იმ საბავშვო საავადმყოფოების შესანახად, რომელიც ამ მოკლე ხანში გაიხსნება. ტფილისში არსებობს ორი საბავშვო საავადმყოფო სახალხო ასაკამდე და სასკოლო ასაკის ბავშვთათვის: ერთი მათგანი არის ქალაქის ავლაბარში, რომელშიაც თავსდება 60 საწოლი, მეორე კი—მოწყობილია ვოლგის დამშეულთა ბავშვთათვის 50 საწოლით; უკანასკნელი, უმთავრესად ემსახურება ვოლგის დამშეულთა ბავშვების საბავშვო სახლის ბავშვებს, მეორეთი კი სარგებლობენ მთელი ქალაქ თბილისის და აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ბავშვები, რომლებსაც სჭირდებათ სტაციონარული ექიმობა. ეს საავადმყოფო, რომლის ნახევარი არის უნივერსიტეტის კლინიკათ და რომელიც ღებულობს ისეთ ავადმყოფებს, რომელნიც გამოდგებიან პედაგოგიური მიზნით, რა თქმა უნდა რომ ვერ გასწვდება მთელ მცხოვრებთა ბავშვებს. უკანასკნელი რეგისტრაციის მიხედვით, ქ. ტფილისის მოწაფე და საბავშვო სახლების ბავშვები აწევს 38 000. ლაპარაკიც კი მეტია იმაზე, რომ 38 000 ბავშვს, (საბავშვო სახლის ბავშვები კი, სულ მთლად სახელმწიფოს ზრუნვაზეა დამოკიდებული), 60 საწოლიანი საავადმყოფო არ ეყოფათ.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ თითქმის ყოველ საბავშვო სახლთან გამოყოფილია 10—20 საწოლი. ასეთი „იზოლიატორები"-ს მრავალ რიცხოვანება, დაფანტულობა, სივიწროვე, მოუწყობლობა და უმთავრესად კი ის რომ ისინი საკმაოდ იზოლიაცია ქმნილი არ არიან სხვა, ჯანსაღ ბავშვთა სამყოფებიდან,—რა თქმა უნდა არ აძლევს საშუალებას ამ წვრილ საავადმყოფოებს სავსებით შეასრულონ იზოლიატორების ფუნქციები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და ზოგჯერ პირიქით საბავშვო სახლებს საშიშ მდგომარეობაში აყენებენ ეპიდემიის გავრცელებით.

ჯანმრთელობის კომისარიატს არა ერთხელ დაბადებია აზრი, თუნდაც კიდევ ერთი საბავშვო საავადმყოფოს გახსნისა, მაგრამ სახელმწიფოს კრიტიკული ფინანსიური მდგომარეობა არ აძლევდა საშუალებას წამოეყენებინა ეს საკითხი. მაგრამ ეხლა, როცა სახელმწიფოს ხარჯზე მყოფ ბავშვთა რიცხვი გაიზარდა საბავშვო სახლების და კოლექტორების გახსნით, ჯანმრთელობის კომისარიატის წინაშე ხელ ახლა წამოიჭრა საბავშვო საავადმყოფოს გახსნის საკითხი.

აღძრულ საჭიროების დასაკმაყოფილებლად სტაციონალურ ექიმობისათვის, ჯანმრთელობის კომისარიატს აქვს საშუალება მიიღოს უკვე მოწყობილი საავადმყოფო 100 საწოლით რომელსაც აქამდე ინახავდა დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, მაგრამ რადგანაც შემოკლებულ იქნა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მოქმედება ის იძულებულია დახუროს ეს საავადმყოფო სულ, თუ დროზე არ იქნება ზომები მიღებული.

სასურსათო გადასახადის კამპანია

ცალკე მაზრებში სასურსათო გადასახადის შეკრებილი რაოდენობა ნაწილდება შემდეგ ნაირად:

მაზრები	გაწერილი რაოდენობა	აკრეფილია	შესრულების პროც.
გორისა	100.000	100.000	100,0
თელავის	60 000	60.000	100,0
სიღნაღისა	100.000	100.000	100,0
სამხრეთ-ოსეთი	25 000	25 000	100,0
ტფილისისა	70 000	70.000	100,0
ახალციხისა	55.000	55.000	100,0
ბორჩალოსი	80 000	80 000	100,0
დუშეთისა	30 000	27.709	92,4
თიანეთისა	20.000	15 998	80,0
სულ	574.733	568 440	98,9

ქრონიკა

მიწის ძვრა

ორშაბათს, 4 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე და 8 წამ. მოხდა დიდი მიწის ძვრა. ფიზიკური ობსერვატორიის ცნობებით, მიწა შეიძრა ორჯერ, დრო გამოშვებით, 2 წუთის განმავლობაში. ძვრის სიძლიერე—7-8 ბალლი, p—ფორელის შკოლის მიხედვით. გორიდან იტყობინებიან პირდაპირი მავთულით, რომ მიწის ძვრა იქაც ასეთი სიძლიერით იყო. უბედური შემთხვევები არ ყოფილა.

სახ. მეურ. უმაღ. საბჭოში.

— **ახალი გაზეთი.** სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსიურ ეკონომიურ ყოველკვირეულ გაზეთის გამოცემას. პირველი ნომერი გამოვა კვირას 10 დეკემბერს შემდეგი სათაურით: საქართველოს სახალხო მეურნეობა—გაზეთი იქნება სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ოფიციალური ორგანო.

— **მოხსენება.** 5 დეკემბერს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს სტატისტიკურ-ეკონომიურ ქვეგანყოფილების დარბაზში ამხ. გონჩაროვი გააკეთებს მოხსენებას სახ. მეურნეობის 1922 წ. მუშაობის და 1923 წ. მუშაობის გეგმის შესახებ.

განათლების კომისარიატში

— **სათბობ მასალის უქონლობა პროვინციის სკოლებში.** თანახმად განათლების კომისარიატის დადგენილებისა, პროვინციის სკოლებში სათბობი მასალის უქონლობის გამო მოსალოდნელ სწავლის შეწყვეტის შესახებ, გაეგზავნა ცირკულიარული დეპეშები ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა სასწრაფოთ მიიღონ ზომები სასწავლებლების სათბობი მასალით უზრუნველსაყოფათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლის შეფერხებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მათ.

— **უმუშევარ მასწავლებლების გაგზავნა პროვინციებში.** განათლების კომისარიატმა თანახმად ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენებისა, დაადგინა — ვინაიდან პროვინციები განიცდიან მასწავლებლების ნაკლებობას, პროვინციებში გაიგზავნოს სათანადოთ მომზადებული რიცხვი მასწავლებლების, რომელნიც იქნებიან სრულებით უზრუნველყოფილნი მატერიალურის მხრივ.

— **რკინის გზის სკოლების სექციის დაარსება.** განათლების კომისარიატთან ამავე კომისარიატის დადგენილებით, არსდება რკინის გზის სკოლების სექცია, რომლის თავმჯდომარეთ დამტკიცებულ იქნა ამხ. დარახველიძე, ხოლო ინსტრუქტორათ ამხ. ნუცუბიძე. აგრეთვე კომისარიატმა დაადგინა, რათა შესდგეს კომისია რკინის გზის სკოლების ჩასაბარებლად, რომელშიაც შევლენ განათლების კომისარიატის, განათლების მუშაკთა კავშირის და რკინის გზის კავშირის წარმომადგენელნი.

— **შუამდგომლობა თბილისის პოლიტეხნიკური სასწავლებლის.** ვინაიდან თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თანახმად ამ სასწავლებლის გამგის შუამდგომლობისა, ამავე სასწავლებლის ყველა მოწაფეები განთავისუფლებულნი იქნენ სწავლის ფულისაგან, როგორც გამონაკლისი.

— **კომუნისტ მოწაფეების მივლინების წინააღმდეგ.** რადგან ახალგაზრდათა კომუნისტური კომიტეტი მოწაფეებს გზავნის სხვადასხვა საქმეებზე მივლინებაში, რაც პედაგოგიურის და პოლიტიკურის თვალსაზრისით დაუშვებელია, განათლების კომისარიატმა დაადგინა მიეწეროს ახალგაზრდათა კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა ზემოაღნიშნულ მოვლენას შემდეგში აღარ ქონდეს ადგილი, ვინაიდან მოწაფეები მივლინებაში გაგზავნის დროს აკლდებიან გაკვეთილებს და ეს კი აფერხებს და ქმნის ანორმალურ მდგომარეობას სასწავლებლებში.

— **ხეთის და კულაშის სასწავლებლების დათვალიერების გამო.** განათლების კომისარიატმა თანახმად ინსტრუქტორ კვინიკიძის მოხსენებისა, წინადადება მისცეს ზუგდიდის განათლების განყოფილებას, რათა ხეთის ტეხნიკუმის გამგე ცხოვრობდეს მუდმივათ ხეთაში, რომ უფრო მეტი ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნიშნულ სკოლას და მანვე აიღოს გაკვეთილები მათემატიკური საგნების. გადაყენებული იქნეს შეუფერებლობის გამო მასწავლებელი ჯიქიძე და ფრანგული ენისათვის მოწვეული იქნეს უფრო გამოცდილი მასწავლებელი.

შრომის კომისარიატში

ბათომის შრომის კომისარიატის განყოფილება.

— **შრომის ტვირთზიდვის გადასახადი.** 5 ოქტომბრიდან 28 ნოემბრამდე აკრეფილ შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი უდრის შემდეგ რაოდენობას: 2.082,930,000 მანეთს ქართული ბონებით და 3 745 მანეთს კი ოქროთი. ამას გარდა ხარკის საშუალებით, ოქროს კურსის აწევის და 25 ოქტომბრიდან ყოველდღიურად 25,000 მან. ჯარიმის მომატების გამო, შემოსულია 1.645,000 მ. ქართული ბონებით.

— **ქალაქის და მეკურტნეთა არტელის გაერთიანება.** გაერთიანდა ქალაქისა და მეკურტნეთა არტელი, რომელშიდაც ირიცხება 600 მუშა.

— **საექსპედიტორო არტელის დაარსება.** შრომის კომისარიატის თაოსნობით დაარსდა საექსპედიტორო არტელი. არტელის მიზანია სასტიკი ბრძოლა აწარმოოს კერძო სპეკულაციის წინააღმდეგ, ექსპედიტორთა არტელს დამოკიდებულება ექნება ქალაქის და მეკურტნეთა შეერთებულ არტელთან.

— **ინვალიდთა მდგომარეობა.** შრომის კომისარიატთან დაარსებული სპეციალური კომისია ომში დასახიჩრებულ ინვალიდთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას. კომისიის თავმჯდომარის ცნობებით, ინვალიდთა არტელს დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა უწყებები სხვა და სხვა საქონლის ნისიათ, და ზოგჯერ უფასოთ [illegible].

მილიციაში

— **მაზრების მილიციის რევიზია.** შინაგან საქმეთა კომისარის განკარგულებით საქართველოს მაზრებში და ქალაქებში გაიგზავნა მილიციის სარევიზიო კომისია [illegible] ინსტრუქტორი ამხ. მიქაბერიძე, განსაკუთრებულ დავალებებით.

სხვა და სხვა.

— **ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის ხაზის გაყვანა.** მიუხედავად წყალდიდობისა, ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის ხაზის გაყვანა სასწრაფო ტემპით მიმდინარეობს. მუშაობის 80 პროც. დასრულებულია. [illegible] ზიდვა.

— **თბილისში აღწერა უკვე დასრულდა.** 4 დეკემბერს, საღამოს, მცხოვრებთა აღწერა [illegible] რაიონებში [illegible] სწარმოებდა [illegible] მოწესრიგებით [illegible] ქალაქის საბჭოში [illegible].

— **პროფესიული კავშირების დახმარება.** [illegible] დახმარების [illegible] გასანაწილებლად [illegible] კომისარიატს [illegible] (8.000.000 მ.) [illegible] პროფ. [illegible] განათლების [illegible] უხვ [illegible] მადლობას [illegible].

— [illegible]

მუშათა ცხოვრება

მაუდის ფაბრიკა

ფაბრიკა იმყოფება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში. ჩვენი მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მატერიალურათ არა ვართ უზრუნველყოფილნი. სამუშაო ხელფასს თავის დროზე ვერ ვღებულობთ, რაც ერთი ორათ აუარესებს ჩვენს მდგომარეობას. ფაბრიკას განაგებს მუშათა არტელი „კოლექტიური შრომა". სამუშაო ოთახებს არა უშავს. ოთახები სრული და საკმაოდ სინათლიანია. სამწუხაროდ, სასადილოს საქმე ვერ არის კარგათ. სამუშაო შენობის ერთ კუთხეში მოთავსებულია ჩვენი სასადილო. მუშაობისაგან გამტვერიანებულ ოთახში გვიხდება სადილობა. ასეთი გარემოება ხელს უწყობს ანტი ჰიგიენურ პირობებს. კარგს იზამს ადმინისტრაცია, თუ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და სასადილოსათვის გაგვიჩენდეს ცალკე ოთახს. ფაბრიკაში უმთავრესად მუშაობას ეწევიან ქალები. შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში გატარებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. არსებობს ფაბკომი, რომელიც ზრუნავს მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ქ. ბ.

ელექტრონის სადგური

(ყოფილი „კულონი")

ამ სადგურში მუშათა რიცხვი ათამდე აღწევს. ადმინისტრაციასთან გვაქვს დადებული კოლექტიური ხელშეკრულება, მაგრამ ძლიერ მცირედათ ტარდება ცხოვრებაში. ამის უმთავრესი მიზეზია ადმინისტრაციის დაუდევრობა. უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაცია თავის სიმაღლეზე ვერ სდგას. ჩვენი წარმოების ხასიათი ისეთია, რომ ჩვენ შორის სისუფთავის დაცვა ძლიერ ძნელია. მაგრამ ცოტათი მაინც რომ შევებრძოლოთ უსუფთაობას, საჭიროა ჩვენთვის განსაკუთრებული ტანისამოსი. ეს გარემოება ჩვენ უკვე მხედველობაში გვქონდა, როდესაც ხელშეკრულებაში სპეც ტანისამოსის საკითხი შევიტანეთ. მაგრამ ამ მუხლის განხორციელებას არაფერი ეშველა. ადმინისტრაცია დიდ უყურადღებობას იჩენს აგრეთვე შრომის ინსპექციის მოთხოვნილებათა ასრულებაში. საჭიროა მეტი ყურადღება და საქმიანობა ადმინისტრაციის მხრივ.

გამგლელი.

კონფეტების სახელოსნოებში

ეს სახელოსნოები, რომელიც უმთავრესად ძველ მოედნის რაიონში მდებარეობენ, მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. აქ არ არის დაცული არც ერთი მუხლი ტეხნიკურ სანიტარულ პირობებისა. ხაზეინებმა არც იციან, თუ ამ მხრივ რაიმე სავალდებულო ნორმა და კანონი არსებობს.

ამ რამოდენიმე დღის წინათ შრომის დაცვის ინსპექციამ დაათვალიერა ეს რაიონი და საშინელი სურათი გადაეშალა თვალ-წინ. უწმინდურება და სიბინძურე,—აი რას ხვდებით ყოველ სახელოსნოში. ეს ქმნის არა მარტო მუშისათვის ცუდ სამუშაო პირობებს, არამედ საფრთხეს უმზადებს „ტიანუშკას" და სხვა ტკბილეულობის მყიდველ ხალხს.

თვით მუშები გასვრილი და გაჭუჭყიანებული არიან. აცვიათ გაჭუჭყიანებული ვითომ და სპეც ტანისამოსი. რა გასაკვირველია, თუ ასეთ ანტისანიტარულ პირობებში დამზადებული ტკბილეულობა ბინძური იყვეს და ჯანმრთელობისათვის მავნე. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

დამსწრე.

ბათუმი

ბათუმში არსებობს თუჯის, სპილენძის და ლითონის მექანიკური ქარხანა. ამ ქარხანას მეტ სახელათ უწოდებენ „კრუპის" ქარხანას.

ქარხანაში მუშაობს 25 კაცი. სამუშაო პირობები არ არის ცუდი. შრომის კანონები დაცულია. დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება. მუშათა უმრავლესობა თვით ქარხანაში ცხოვრობს. ქარხანას განაგებს ამავე ქარხნის ყოფილი მუშა. სწარმოებს სათანადო კულტურული მუშაობა. არსებობს სამკითხველო, არის გაზეთები.

ბ. თომელი.

ხელოვნება

სახალხო სახლი.

პარასკევს 1 დეკემბერს „უგვირგვინო მეფენი"—ა. შანშიაშვილის.

რეჟისორი—**შ. დადიანი.**

დღემდის ჩვენ მსახიობს რცხვენოდა ეთქვა, რომ ის მსახიობია, მხატვარი, რადგანაც დიდი ხანია ქართულ სცენას აღარ უნახავს მსახიობი მთელი თავისი განცდით და მხატვრული მიღწევებით. მაგრამ დამსხვრეული იმედები გამთელდენ, „საზოლოვე" სიტყვა კი არ გამართლდა, თითქოს ქართულ სცენას მსახიობები არ ყავდეს. კ. მარჯანიშვილმა დაამტკიცა, რომ მიზეზი ქართველი მსახიობი კი არ ყოფილა არამედ მასწავლებელი, რეჟისორი. ოცდა ორი წლის მიწურულში გამოირკვა, რომ ქართულ სცენას ყოლია მესხიშვილ-ჩხეიძენი. და „ცხვრის წყაროს" დადგმამ ეს სავსებით ნათელჰყო, რომ ამიერიდან ქართველი მსახიობი ამაყი იქნება. დიახ, ჩვენ მსახიობს არ ყავდა გამოცდილი მასწავლებელი, გამოცდილი რეჟისორი, მომზადებული გამწვრთნელი, არა ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი თეატრის დაქვეითებისა. მეორე საგრძნობი ნაკლი არის რეპერტუარი, ორიგინალური პიესების უქონლობა. მსახიობს არ აქვს შესაძლებლობა თანამედროვე პიესებში გაშალოს ფრთები, რომ ამით ჩვენც შევეძლოს მისი დაფასება. გამოცდილი დრამატურგები ძალზე ზანტობენ, ამ უკანასკნელ წლებში დრამატურგიას ახალი არაფერი შეუქმნია, რაც დიდ გავლენას იქონიებს მომავალ ქართულ თეატრზე. რეპერტუარის მხრივ დიდ კრიზისს განიცდის სახალხო სახლიც. ეს თეატრი საქართველოში მეორე ქართულ თეატრად უნდა ჩაითვალოს და ყურადღების ღირსია. ყოფილა ისეთი კრიზისები, როცა პირველი თეატრი აუდიტორიის სიმცირის გამო დახურულა, ხოლო სახალხო სახლში მუშაობა არ შეწყვეტილა. რეპერტუარის მხრივ აღსანიშნავია უკანასკნელი წარმოდგენები: „გეგეჭკორი", „ქართველი დედა" და „უგვირგვინო მეფენი"—ზედი-ზედ სამი ისტორიული პიესა, ასეთი რამ სახალხო სახლს არ ეპატიება, ქართველი მშრომელი მასსა სახალხო სახლს მისდევს, თუ ქართული სახელმწიფო დრამის დარბაზი დღეს ცარიელია (გარდა კ. მარჯანიშვილის დადგმისა) სამაგიეროთ სახალხოში ბილეთები აღარ იშოვება, მაგრამ თუ ისტორიულ პიესების დადგმას ასე მოუხშირეს, ჯერ ერთი ეს იქნება ტრადიციის დარღვევა და მეორე, მიზნისთვის გზის ახვევა. სახალხო სახლის ძველ რეპერტუარში კიდევ მოიძებნება ისეთი პიესები, რომელნიც დიდი ხანია არ დადგმულა და ხალხის წყურვილსაც დააკმაყოფილებს. ეხლა გადავიდეთ 1 დეკემბრის წარმოდგენაზე. ა. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი" დინჯათ არის დაწერილი, ლამაზი ლექსით, არის მხატვრული შედარებები, მაგრამ თემა ძველია და ათასჯერ გაცვეთილი. თანამედროვე თეატრს ხმლების რახუნი და დამბაჩების გრიალი აღარ აკმაყოფილებს. ხალხის სულიერი მოთხოვნილება სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ და თუ ისეთ პოტენციის მქონე მწერალი როგორც არის შანშიაშვილი თავის ნიჭს თანამედროვე ცხოვრების დუღილს შეუფარდებს და გაანვითარებს, უფრო კარგი და დასაფასებელი იქნება. უეჭველად საყურადღებოა ამ სალამოს დადგმა. შალვა დადიანმა გვერდი აუარა შაბლონს და პიესა თავისებურათ დადგა, ჩაუმატა ის ადგილები, რომელთაც სხვა რეჟისორები ტოვებენ ხოლმე და ჩვენი აზრით ეს დადგმა უფრო ლამაზი და მხატვრული გამოდგა თუ მივიღებთ მხედველობაში სახალხო სახლის სცენას, სადაც არ შეუძლია ხელოვანს ისე გაშალოს ფრთები, როგორც სახელმწიფოს დრამის სცენაზე, აქ უკლებლივ არის რაც კი სცენისთვის საჭიროა. მეორე მოქმედების მასსიური სცენა მშვენივრად ჩატარდა, ქეიფის დროს იყო ცეცხლი, ბუნებრივი ქეიფი, მწყობრი სიმღერა და ლამაზი ლეკური. მიუტევებელი დანაშაული ამ სალამოს იყო როლების არ ცოდნა, ეს მაშინ, როცა პიესა ლექსათ არის დაწერილი და ისეთი ღრმა ქართულით, რომ სიტყვის გადასმ გადმოსმას მსმენელი მაშინვე აჩნევს და ცუდ შთაბეჭდილებას ღებულობს. მეტრეველი (მეფე) ჩასწვდა როლს, შეიგნო კიდევაც, მაგრამ ისეთი გრიმი ქონდა, რომ უფრო რომაულს წააგავდა ვიდრე ქართველ მეფეს. მართალია ლუარსაბ მეფე ნაზი იყო მაგრამ მასთან ერთად გმირიც, რაც მტკიცდება უკანასკნელ მოქმედებაში, როცა სამეფო გვირგვინს ამაყად დაანარცხებს ძირს.

ა. ლითანიშვილი (შადიმანი) მიმხვდარა, რომ შადიმანი გველაძუა კაცია, განდიდების მოსურნე, მაგრამ მაინც ვერ მოგვცა ტიპი შადიმანისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ როლისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა მსახიობი ნინიძე. შადიმანი თითქმის წააგავს ჩ ქოვანს („გეგეჭკორი",) და ეს უკანასკნელი ნინიძემ ზედმიწევნით განასახიერა 26 ნოემბრის წარმოდგენაში.

ქ. ხახანაშვილი (გიორგი სააკაძე) „გიგუას" უფრო წააგავდა ვიდრე სააკაძეს. არ იყო შესაფერისი არც ხმით (ჩახლეჩილი) და არც გარეგნობით. გიორგი ისეთი მუცლიანი, როგორც ხახანაშვილი იყო არ ყოფილა, მით უფრო იმ ხანაში, რომელიც პიესაშია გამოყვანილი. ნინონი (დედოფალი) თუ შალვა დადიანს არ ყავდა დასში შესაფერისი მაშინ შეიძლებოდა მოწვევა; როგორ შეიძლება ისეთი პატარა ქალი როგორც ნინონია დედოფალში გამოიყვანოთ ნინონს აქვს სხვა როლები, რომელშიდაც ის შეუდარებელია ამნაირ როლებში მსახიობი დაილუპება; სიცილს იწვევდა მისი „გმირობა" უკანასკნელ მოქმედებაში, როცა ხმალს იღებს, ნათლად სჩანდა, რომ იტანჯებოდა, რადგან როლი ვერ დაეძლია. ს. რომანიშვილი (მეხრობელი) ეს როლი ორიოდე სიტყვაა, მაგრამ რომანიშვილმა დაამტკიცა, რომ მსახიობი მაშინ არის დასაფასებელი, როცა ორიოდ სიტყვის თქმაშიც შემოქმედებას იჩენს.

კარგები იყვნენ თაკდგირიძე (კახაბერი) და ადამიძე ზაზა, დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

კიდევ მივუთითებთ რეჟისორს, რომ როლების განაწილების დროს მეტი დაკვირება გამოიჩინოს. სახალხო სახლის ქართული დასის ეხლანდელი შემადგენლობით ბევრის გაკეთება შეიძლება, მასალა არის, დამუშავება კი რეჟისორის საქმეა.

ხელოვანი.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, ოთხშაბათს 6 დეკემბერს საზეიმო წარმოდგენა ალ. სუმბათაშვილი—იუჟინის საპატივცემულოთ „აბესალომ და ეთერი", წარმოდგენის წინ სიტყვას წარმოსთქვამს ალ. სუმბათაშვილი.

— **ქართველ მხატვართა სალამოები ხელოვანთა სახ-ში.** ქართველ მხატვართა კავშირი, ხელოვანთა სასახლეში სისტემატიურათ გამართავს სამშაბათობით მხატვრულ სალამოებს სალამოზე წაკითხული იქნება მოხსენებები და ლექციები მხატვრობაზე; პირველი სალამო გაიმართება მომავალ სამშაბათს.

— **სახალხო სახლის შესანახად.** სახალხო სახლის მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა კომისართა საბჭოს წინაშე მიმდინარე სეზონში დრამატიული წრის შესანახად 60,000,000 მ. ყოველთვიურად მიცემის შესახებ.

— **ხელოვნების მუშაკთა სახლი.** რაბისის კულტურულ განყოფილების ინიციატივით 4 დეკემბერს გაიხსნა „ხელოვნების მუშაკთა სახლი" ახალი თეატრის ქვედა სართულში. „ხელოვნების მუშაკთა სახლში" მოწყობილია აგრეთვე სამკითხველო-ბიბლიოთეკა, სადაც მოთავსებული იქნება პოლიტიკური, ლიტერატურული და მხატვრული წრეები და სექციები. ახლო ხანში დაიწყება ლექციებისა და მოხსენებების კითხვა სპეციალურ თემებზე.

— **შალვა სოსლანის მინიატიურების წიგნი.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა შალვა სოსლანის მინიატიურების წიგნი: „ტფილისი".

— **ტერენტი გრანელის სალამო.** მორიგ ხუთშაბათს დეკემბრის 7-ს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის სალამო. სიტყვები: კონსტ. გამსახურდია: მისტიკა. დემნა შენგელაია: ტერენტი გრანელი. ლექსები: გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, იობოლი მუშა, ს ფაშალიშვილი, ტერენტი გრანელი. ბილეთები 25—10 ათასამდის დასაწყისი 8 საათზე

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—საზეიმო სპექტაკლი ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინის საპატივცემლოთ—„აბესალომ და ეთერი" ბოკოვას, თუმანოვა-მახარაძის, ერმოლ ნსკაიას, გაბაშიძის, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ქურხულის და სხვ. მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—სომხური დრამა „უცნაური ქალი". ახალი თეატრი—სიყვარული ოქროს წიგნის. სახალხო სახლი—რუსული დრამა „კანცლერი და ზეინკალი". მუშათა ცენტრალური კლუბი—რუსული დრამა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". აიარტუნ—სომხური მუსიკის კონცერტი პიანისტი ი. ტერ-დავიდოვის. კინო-მინიონი—ჯვრის სალდათი. არფასტო—გარეული ხარი მე 2 სერია. კინო სოლეილი—ბუნის ტუზი მე 2 სერია. კინო კამერნი—ის თუ არა ეს მაინც. კინო-ზერკალნი—ციგანთა შურის ძიება. კინო პალასი—ტარზანის ქალი, მე 5 სერია. აპოლო—დიდი ქალ ღმერთი. ალკარე—მეეტლე მონ სენიდადგან. ცირკი—მრავალ ფეროვანი პროგრამა და ფრანგული ჭიდაობა.

ეკონომიური ცხოვრება

— **ცემენტი საქართველოსათვის.** ამ დღეებში საბჭოთა რუსეთიდან მოვიდა 3800 ბოჭკა ცემენტი ნატანებ ოზურგეთის რკინის გზის საჭიროებისათვის. დადებულია ხელშეკრულება კიდევ 12.000 ბოჭკა ცემენტის მოსაწოდებლად, დასავლეთ საქართველოში წყალდიდობის მიერ დაზიანებულ გზების და შენობების აღსადგენად.

— **ნებართვის საჭიროება გემების ნავთსადგურში შესვლისათვის.** ამიერ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლობამ აუწყა სტამბოლის ყველა გემთა სააგენტოებს, ამა თვის 10 რიცხვის თარიღით, რომ გემების შესვლა შავი-ზღვის განაპირა რესპუბლიკის ნავთსადგურებში აკრძალულია ზემო აღნიშნულ წარმომადგენლობის უნებართვოთ.

— **ბათუმის მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოება.** ამ ჟამად ხდება ბათუმის მუშკოპის და მომხმარებელთა საზოგადოების ინვენტარის აღწერა, რომლის დასრულების შემდეგ მოხდება მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების გამგეობის არჩევნები.

ბაქოს ბირჟა

ბაქო. 1 ნოემბერი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 30 ნოემბრისათვის: დოლარი—25,000,000. გირვანქა სტერლინგი—112,000,000. ფრანკი—1,650,000. ოსმალური ქალალდის—ლირა—14,300,000 გერმანული მარკა—8,500. ოქროს 10 მ.—151,000,000. ოსმალური ოქროს ლირა—110,000,000 ნატეხი ოქრო 56 საშინჯ.—29,000,000. თუმანი—20 მილიონი. ვერცხლის 1 მან.—7 მილ. წვრილი ვერცხლი: მანეთი—2,700,000 ქართული ბონები შემოკლ. ფულის ნიშნებით—8,000,000.

ბათუმის ბირჟა

ბათუმი. 2 ნოემბერი. ბათუმის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 1 დეკემბრისათვის: ოსმალური ქაღ. ლირა—157—160 მან. ქართული ბონებით, 14,000,000-14,500,000 მან. საბჭოთა ფულის ნიშნებით. დოლარი—160—165 პიასტრი. გირ. სტერ. —750—760 პიასტ. ოსმალური ოქროს ლირა—710-725 პიასტრი. ოქროს 10 მან.—950—955 პიასტრი. 20 ფრანკი —225—235. 20 ლირა იტალ.—140-150 პიასტ. ოქროს 10 მ.—1,480,000 —1,540,000 მან. ქართული ბონებით.

ტფილისის ბირჟა

ტფილისი. 5 დეკემბერი. ოფიციალური კურსი 4 დეკემბრის: ოქროს 10 მან.—1,770,000—1,780,000 ოსმალური ოქროს ლირა—1,420,000—1,430,000. გირ. სტერ.—1,340,000—1,350 000. დოლარი 810,000 320,000 ფრანკი—18,000 18,500. იტალიური ლირა—10,000 11.500. საბჭოთა ფულის ნიშნებით—1,225 1,275 პრო

წითელ ჯარში

„კვირეულის" პირველი დღე

სასწავლო საკადრო პოლკის კოლექტივის კრებამ დაადგინა სისტემატიურად გადასდონ თავიანთ ჯამაგირებიდან 2 პროც. არმიის ბეჭდვითი ორგანოს სასარგებლოთ.

— იმავე პოლკის კოოპერატივი ერთი კვირის განმავლობაში გადასდებს თავის საბრუნავი თანხის 2 პროცენტს.

— იმავე პოლკის საკლუბო მუშაობა ამ კვირაში მიმართული იქნება „წითელი მხედრის" დახმარების აგიტაციისაკენ.

— კავშირის ნახევარ ესკადრონმა დაადგინა ჯამაგირებიდან გადარიცხოს „წითელი მხედრის" სასარგებლოდ 5—25 ათასი მან. ქართ. ფულ. ნიშნ.

— № ქვეითა პოლკის ბაქოს სკოლა გადარიცხავს 5—25 ათას მანეთამდე.

— მთელ არმიაში იმართება წარმოდგენები, რომლის მთელი შემოსავალი ხმარდება „წითელი მხედრის" გამოცემას.

— კავშირის ნაწილებმა, დაუთმეს გაზ. „წითელ მხედარს" სტამბის 3 ადგილი, ე. ი. მათ აიყვანეს თავის ხარჯზე 3 მესტამბე.

სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარება გაზ. „წითელ მხედრისათვის"

კვირეული პირველ დღეს, 1 დეკემბერს თბილისის აღმასკომმა შესწირა გაზ. „წითელ მხედარს" 25 მილ. მან. ქართ. ფულის ნიშნებით. შრომის სახ. კომისარიატმა გაუგზავნა „წითელ მხედრის" რედაქციას ცნობა, რომ იგი უწევს ერთდროულ დახმარებას არმიის ბეჭდვითი ორგანოს.

პროვინციაში

გორი

რკინისგზის ტრანსპორტი შეადგენს სახელმწიფოს უმთავრეს ძარღვს. სამწუხაროთ ამ ძარღვზე დარჩენილია ბევრი ხორცმეტები. არც სირცხვილი მათთვის, არც შიში; დაწყებული დაბალი მოსამსახურიდან ვიდრე მაღლამდე, ერთი ნაწილი ამ ბატონებისა, არამც თუ მარტო ნივთიერი სარგებლობისთვის, არამედ პირდაპირ საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტის ძირის დასაცემათ და ფესვების გამოსათხრელად, სჩადის ბოროტმოქმედებას. ასეთები უნდა დაისაჯონ. სადგურის უფროსი დავიდოვი, რომელიც ადგილკომის და მაზრპარტკომის მხრივ იყო ნათხოვნი და თბილისიდან გადმოგზავნილი გაჩეჩილაძის მაგიერ—მთელი ენერგიით ეძებს და სდევნის ბოროტმოქმედთ. მათ რასაკვირველია ეს არ ესიამოვნებათ. ზოგნი ჩურჩულობენ, რაღაც მოუსვენრათ არიან და რაღაცა გასავალს ეძებენ.

ამ თვის 24-ში ამხანაგი ვ რუხაძის მეთაურობით მოხდა კრება. არჩეულ იქნა რკინისგზელების კომიაჩეიკა. ამ ჟამათ მას ჰყავს ცხრა წევრი. არჩეულ იქმნა პასუხისმგებელ მდივნად დავიდოვი, ბიუროში შედიან ბუხნიკაშვილი, დავიდოვი და ახობაძე. კანდიდატი ამხ.. თვარელიძე. გამორკვეულია შეთანხმებული მუშაობის გეზი კომიაჩეიკის და ადგილკომის შორის. ამხ. დავიდოვი, მთელი ძალღონით დაუღალავათ მუშაობს. ვუსურვებ გამარჯვებას კომიაჩეიკის და ადგილკომის შეერთებულ მუშაობას, რომელიც არ დაზოგავს არც ერთ ბოროტმოქმედს ვინც უნდა იყოს იგი.

ირაზელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ვანებებ თავს მენშევიკურ პარტიას

1919 წლის დასაწყისიდგან მე ვირიცხებოდი დუშეთის მაზრის სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის წევრათ. დღეის რიცხვიდან თავს ვანებებ მა პარტიის წევრობას

დათა ამირიძე.

გამოვდივარ მენშევიკურ პარტიიდან, რომლის თელავის ორგანიზაციაში ვირიცხებოდი წევრათ წარსული წლის იანვრიდან.

ალ. თურქაძე.

2 დეკემბერი 1922 წელი.

ქ. დუშეთი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ამა წლის 6 დეკემბერს საღამოს 5 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოხდება საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის თბილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო კრება სრულიად საქართველოს კონფერენციის დელეგატებთან ერთად.

დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1) მოხსენება რესპუბლიკის შინაგან და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და 2) ამიერ-კავკასიის ა. კ. კ. მიერ კასპიის ფლოტზე შეფობის მიღების შესახებ.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს 6 დეკემბერს საღამოს 5 საათზე საქართველოს წითელი არმიის კლუბის შენობაში (სასახლის ქ.) შესდგება საქართველოს კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო სარაიონო კრება. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

— ს. კ. პ. ც. კ.-ის ქალთა განყოფილებასთან არსდება წრე, რომელსაც მიზნათ აქვს ქალთა მასის შორის პარტიული კითხვების გაშუქება. ამ წრეში მეცადინეობა შეუძლია ყველა პარტიის წევრებს, კანდიდატებს და ახალ კომ წევრებს.

ჩაწერვა სწარმოებს ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების მდ ამხ. ჯალალანიასთან დილას 10—3 საათამდე.

— ა. წ. 23 ნოემბერს საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა: მშრომელ ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისია, რომელიც მოთავსებულია ც. ა. კ. შენობაში მეორე სართული ოთახი № 12.

განცხადება მიიღება ყოველ დღე ზემოაღნიშნულ კომისიის მდივანთან დილის 10—3 საათამდე.

კომისიის თავმჯდომარე

ლ. დუმბაძე.

მდივანი: **კობახიძე.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელნიც მუშაობდენ ოდესმე, ან მუშაობენ ამჟამად ფინანსიურ დარგში და იცნობენ ამ [illegible] ლური განათლებით [illegible] დენ რეგისტრაციაში თბილ[illegible] მიტეტის სააღრიცხვო სტატ[illegible] ქვეგანყოფილებაში არა [illegible] ა—წ 10 დეკემბრისა.

სააღრიცხვო სტატისტ. ქვ[illegible] ფილების გამგე.

პროფესიონალური

— საქ. პროფ. კავშირთა [illegible] პრეზიდიუმი ამით აუწყებს [illegible] დაწესებულებებს და ორგანიზ[illegible] და აგრეთვე მუშა მოსამსახ[illegible] რომ ამა წლის პირველ დეკემ[illegible] საქ. პროფ. კავშირთა საბჭოში [illegible] დინეობა იწარმოებს დილის [illegible] დღის 3 საათამდე.

— ფართე მასების მოთხ[illegible] დაკმაყოფილების მიზნით იურ[illegible] ბიუროში და საბინაო სექციაში [illegible] ცადინეობა იწარმოებს დღისით [illegible] საათამდე და საღამოს 5—7 [illegible] მდე.

საქ. პრ. კავშირთა საბჭოს [illegible] დიუმის მდივანი: **გუგუშვილი.**

განცხადებები

დღეს, 6 დეკემბერს

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

ა. ი. სუმბათაშვილის პატივსაცემლად
აბესალომ და ეთერ
დასაწყისი სრულ 8 საათზე
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა
აკრძალულია.
(კრ. 685—1—1)

1-ლი სახელმწიფო კონსერვატორი
ორშაბათს, 11 დეკემბერს
კონცერტი
40 წლის იუბილე ა. კ. გლაზუნოვის
მის მუსიკალური მოღვაწეობის აღსანიშნავად
მონაწილეობას იღებენ კონსერვატორიის პროფესორები.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე.
ბილეთები—50.000 მან,—300 000 მან. კონსერვატორიაში 11—2 საა
6—8 ს. დაწვრილებით—აფიშებში. (619—1—

აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრა
ტიულ სტუდიის ლატარიის ბილეთებიდან
დაკარგულია
ას ოცდა ათი ცალი ბილეთი №№ 035 751—035 820, 036 631—03
043.726—043 735 და 085 551—085 580, რომელნიც ამით გაუქმებ
ცხადდება.
პასუხისმგებელი გამგე ლატარიისა აკაკი ფალავა.
(618—1—1)

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა
ბიურო
აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 6 დეკემბერს დღის 12 სა
აღმასკომის დარბაზში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
აბანო „ფანტაზი"-ას
იჯარით გაცემის შესახებ.
პირობის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახ
ჯარო მაგიდის გამგესთან. (კრ. 683—2—

საკონსულტაციო
სამკურნალო კაბინეთი ბავშვთა ექიმების:
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის გ. დ. ხანცი
ბავშვების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდ
ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით
1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტერნის ქ. № 1,
ლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
სწოლი ოთახებით
დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის მიერ
განაგრძობს ავადმყოფების მიღებას.
თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
304—25—16

ქ. ტფილისის 1-ლ რაიონის სახალხო მოსამართ
იწვევს სასამართლოში გიორგი ვასილის ძე შელიუკოვს, როგორც
ხეს მარია კაზიმიროვის ასულ შელიუკოვთან განქორწინების შე
აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ
მოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამო
დაუსწრებელი დადგენილება. 1-ლ რაიონის სახალხო სასამართლო იმ
სასამართლოს ქუჩაზე № 32.
(620—1—1) სახალხო მოსამართლე ა. ჩაჩავა.

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ტფილ
ხელმწიფო უნივერსიტეტიდან ვახტანგ გ
რასაც ვაცხადებ გაუქმებულათ. (621—1—1)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.